# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 8 ნოემბერი 2007 №259 (3182) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი შვილებისთვის!

ჩვენ გვსურს, რომ ჩვენმა შვილებმა უკეთეს ქვეყანაში იცხოვრონ, ხოლო როგორ უნდა შეიქმნას უკეთესი ქვეყანა, ამის თაობაზე უამრავი მოსაზრება და იდეა არსებობს. ამ იდეათაგან რომელიღაც უკეთესი იქნება და რომელიღაც — უარესი. რომელიღაც სწორი და რომელიღაც — მცდარი. მაგრამ ჩვენ ზუსტად ვიცით, რომ ნებისმიერი იდეა უფასურდება, როდესაც სისხლისღვრა იწყება. არც ერთი იდეა ერთმანეთის სისხლისღვრად არ ღირს და ეს რომ ასეა, ამ 15 წლის წინ ჩვენ საკუთარ თავზე უკვე გამოვცადეთ. მაშინ პატრიარქის შეგონების მოსმენა არავინ ისურვა. პატრიარქი ახლაც მოგვიწოდებს...



„სარბიელი“ სპორტული გაზეთია, მაგრამ ჩვენს 17-წლიან ისტორიაში იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც თავი ვალდებულად ჩავთვალეთ, სხვა თემებზეც დაგვეწერა. ასე მოვიქეცით, „რუსთავი 2“-ის დარბევისას და 2003 წლის ნოემბერშიც.

გუშინ პროფესიული მოვალეობის შესრულებისას ჩვენი კოლეგები, ტელეჟურნალისტებიც დაშავდნენ. „იმედისა“ და „კავკასიის“ ჟურნალისტებს კი მუშაობის საშუალება არ აქვთ. გვჯერა, ხელისუფლება მათ ამ უფლებას დაუბრუნებს, რაკილა, ხელისუფალთავე თქმით, თავისუფალი მედია დემოკრატიის მონაპოვარია. ხოლო დაზარალებულ კოლეგებს სოლიდარობას ვუცხადებთ.



# დებიუტანტები, ახალგაზრდები, გამოცდილები და გაბუტულები
## ტოპმიოლერმა ყველაფერი შეკრიბა

**16 და 21 ნოემბერს** საქართველოს ნაკრები ორ მატჩს გამართავს ყატარისა და ლიტვის ნაკრებებთან. ყატარელებთან მატჩი ამხანაგურია, რადგან ევრო 2008-ის შესარჩევი ეტაპის ბოლოსწინა ტურში ჩვენები ისვენებენ და უეფას „ფანჯრის“ გაცდენას აზიელებთან დოჰაში თამაში არჩიეს. ლიტველებთან მატჩი კი ამ შესარჩევ ციკლში ბოლო იქნება.

კლაუს ტოპმიოლერმა გუნდის გაახალგაზრდავების და ახალი სისხლის გადასხმის გზას არც ახლა უღალატა და ამ მატჩებშიც გამოცდილ და ახალბედა მოთამაშეთა შერწყმას ეცდება.

ნაკრებში სამი დებიუტანტია — ფრანგული „ლე მანის“ ახალგაზრდული გუნდის ფეხბურთელი ამირან სანაია, ვიტჯორჯიელი ნიკა გელაშვილი და ზესტაფონელი როინ კვასხვაძე.

ნაკრებს დაუბრუნდა ტრავმამოშუშებული, თუმცა ჯერაც უგუნდო ლევან ცქიტიშვილიც.

ტოპმიოლერმა ისევ იხმო ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი შოთა გრიგალაშვილი და შემორიგებული გოგიტა გოგუა. დანარჩენები კი ისინი არიან, ვინც შოტლანდიასთან მოგებული მატჩის განაცხადში იყვნენ...

*მეკარეები:* *გიორგი მაკარიძე (დინამო), როინ კვასხვაძე (ზესტაფონი);*

*მცველები:* *ზურაბ ხიზანიშვილი (ბლექბერნი, ინგლისი), მალხაზ ასათიანი (ლოკომოტივი, რუსეთი), კახა კალაძე (მილანი, იტალია), ლაშა სალუქვაძე (რუბინი, რუსეთი), გიორგი შაშიაშვილი (შტურმი, ავსტრია), ამირან სანაია (ლე მანი, საფრანგეთი), ალექსანდრე კვახაძე (ვიტ ჯორჯია);*

*ნახევარმცველები:* *ჯაბა კანკავა (დნიპრო, უკრაინა), ზურაბ მენთეშაშვილი (ვენტსპილსი, ლატვია), დავით კვირკველია (მ. ზაპოროჟიე, უკრაინა), ლევან ყენია (შალკე, გერმანია), გიორგი დეკანოსიძე (ამერი), შოთა გრიგალაშვილი (ბორჯომი), გოგიტა გოგუა (სატურნი, რუსეთი), ლევან ცქიტიშვილი (უგუნდო);*

*თავდამსხმელები:* *ლევან მჭედლიძე (ემპოლი, იტალია), დავით სირაძე (პადერბორნი, გერმანია), ლაშა ჯაკობია (მეტალისტი, უკრაინა), ოთარ მარცვალაძე (ზაკარპატიე, უკრაინა), ნიკა გელაშვილი (ვიტ ჯორჯია).*

ნაკრები 13 ნოემბერს შეიკრიბება, დოჰაში კი 15-ში გაემგზავრება. ყატარელებთან მატჩი 16 ნოემბერს, თბილისის დროით, 20 საათზე დაიწყება, იმავ ღამით ნაკრები თბილისში დაბრუნდება და ლიტვასთან მატჩისთვის აქ მოემზადება. ეს მატჩი კი 21 ნოემბერს „ეროვნულზე“ 19.30 საათზე დაიწყება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# საქართველომ რუსეთის თურქეთი შეურჩია
## სეგრტმა სია შეადგინა

**გუშინ** საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა პეტარ სეგრტმა იმ ფეხბურთელთა ვინაობა გამოაცხადა, რომლებიც 20 ნოემბერს თბილისში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან სათამაშოდ მოემზადებიან.



სეგრტმა რამდენიმე ახალი ფეხბურთელი გამოიძახა: გერმანული „ფრაიბურგის“ ნახევარმცველი გიორგი თარგამაძე, რუსთავის „ოლიმპიდან“ ზაქარია ბეგლარიშვილი და შვეიცარიული „ციურიხის“ თავდამსხმელი გიორგი ივანიშვილი — ამ სამეულმა ამასწინათ 19-წლამდელთა ევროშესარჩევ მატჩებშიც ითამაშეს.

ტრავმები მოიშუშეს ავსტრიის „ლუშტენაუს“ ნახევარმცველმა მირზა ბჟალავამ და ამერელებმა, ზურაბ გვაძაბიამ და დავით მჭედლიშვილმა.

რუსეთთან მატჩისთვის მზადებას ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები 12 ნოემბრიდან დაიწყებს ტრაბზონში, თურქეთის ნაკრების ბაზაზე. გუნდი თბილისში 19 ნოემბერს დაბრუნდება. რუსეთთან მატჩი კი 20 ნოემბერს მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე 19 საათზე დაიწყება.

*მეკარეები:* *რევაზ თევდორაძე (მერანი), გიორგი ლორია (დინამო);*

*მცველები:* *გურამ კაშია (დინამო), გიორგი თავბერიძე (სიონი), გიორგი ელბაქიძე (ამერი), უჩა ლობჟანიძე (ზესტაფონი), გიორგი ფოფხაძე (ვიბორგი, დანია), გიორგი ნავალოვსკი (ოლიმპი), გულვერდ თომაშვილი (დინამო), დავით მჭედლიშვილი (ამერი), ზურაბ გვაძაბია (ამერი), გიორგი ჩიხრაძე (ოლიმპი);*

*ნახევარმცველები:* *მირზა ბჟალავა (ლუშტენაუ, ავსტრია), ირაკლი კლიმიაშვილი (ვიტ ჯორჯია), სანდრო კობახიძე (დინამო), გიორგი მერებაშვილი (დინამო), მურთაზ დაუშვილი (ზესტაფონი), დავით თარგამაძე (ფრაიბურგი, გერმანია), გიორგი ხიდეშელი (ზესტაფონი), ზაქარია ბეგლარიშვილი (ოლიმპი);*

*თავდამსხმელები:* *რევაზ ბარაბაძე (კარლ ცაისი, გერმანია), ბექა გოცირიძე (ზესტაფონი), ვლადიმერ დვალიშვილი (ოლიმპი), გიორგი ივანიშვილი (ციურიხი, შვეიცარია).*

**ნუკრი ლოლაძე**

როინ კვასხვაძე, ნიკა გელაშვილი, შოთა გრიგალაშვილი და ამირან სანაია — ეს ფეხბურთელები ეროვნული ნაკრების მეტ-ნაკლებად ახალი სახეები არიან. მათგან შედარებით მეტი გამოცდილება გრიგალაშვილს აქვს — იგი შარშან ამ დროსაც გამოიძახა კლაუს ტოპმიოლერმა და ათამაშა კიდეც. 21 წლის გრიგალაშვილი „ბორჯომში“ მშვენიერ სეზონს ატარებს, გუნდის ლიდერია და გოლები თუ საგოლე პასები ბლომად მოუგროვდა. შოთა „ბორჯომში“ თბილისის „დინამოდან“ არის განათხოვრებული.
გუშინ კი „ბორჯომის“ ნახევარმცველმა ჩვენგან გაიგო ეროვნულ გუნდში გამოძახების ამბავი...



# შოთა გრიგალაშვილი: გამომიძახეს? ესე იგი, ცუდად არ ვთამაშობ

— მართლა ნაკრებში გამომიძახეს? მწვრთნელებს ნდობისთვის მადლობას ვუხდი. ესე იგი, ცუდად არ ვთამაშობ.

— ნაკრებში პირველად შარშან გამოგიძახეს, თუმცა საერთო აზრით, ახლა გაცილებით კარგ ფორმაში ხარ...

— მეც ვატყობ უკეთესობას, მაგრამ „ბორჯომის“ კარგი თამაში მარტო ჩემი დამსახურება არ არის. შეკრული გუნდი გვყავს, ასეთ დროს კი ფეხბურთელისთვის უფრო იოლია, აჩვენოს ის, რაც შეუძლია.

— „ბორჯომში“ წლის ბოლომდე ხარ განათხოვრებული. მერე რას აპირებ?

— არ ვიცი, ჯერ ვერაფერს გეტყვით. ჩემი სურვილი უცხოურ კლუბში გადასვლაა.

— შარშან ისინჯებოდი კიდეც გერმანულ აუე-ში. მას შემდეგ უცხოური ვარიანტები აღარ გქონია?

— არა. ვნახოთ, ზამთარში რა იქნება...

**ილია ნანობაშვილი**

# ბორჯომს გადადებული ბათუმი დაუდგინეს

**საქართველოს** დავით ყიფიანის სახელობის თასის „ყაზბეგის“ გათამაშების ჯგუფური ეტაპის მეოთხე ტურის გამოტოვებული მატჩი „ბათუმსა“ და „ბორჯომს“ შორის 14 ნოემბერს გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ ამ თამაშის გადადების მიზეზი ავარია იყო — ბათუმში მიმავალი „ბორჯომი“ ქუთაისის მახლობლად, სოფელ სიმონეთთან დაზარალდა.

საბედნიეროდ, სერიოზულად არავინ დაშავებულა.

პირველი ლიგის მეორე წრის მატჩი თბილისის „ვიტ ჯორჯიას 2“-სა და რუსთავის „ოლიმპი 2“-ს შორის კი, რომელიც მცხეთაში უნდა გამართულიყო, პროფლიგის ცნობით, საფეხბურთო აკადემია „ოლიმპის“ ხელოვნურსაფარიან მოედანზე ჩატარდება.

**ქახა შალამბერიძე**

### ინგლისი
II ლიგა. XV ტური

რეძსომი 0:0 უიკომბი

### საფრანგეთი
II დივიზიონი. XV ტური

გენგამი 0:0 კლერმონი

ნიორი 2:1 გრენობლი

### პოლონეთი
ლიგის თასი. D ჯგუფი IV ტური

სოსნოვიცი 0:2 ვისლა

### ხორვატია
თასის 1/4 ფინალი I მატჩები

სეგესტა 0:0 ზაგრები

ჰაიდუკი 2:1 ინტერი

ვარტეძსი 4:0 ციბალია

სლავენი — დინამო გადაიდო

### უნგრეთი
თასის 1/8 ფინალი საპასუხო მატჩები

დებრეცენი 6:2 კაპოშვოლგიი (5:2)

ნიირეძიჰაზა 1:0 დიირმოტი (0:2)

ინტეგრალი 7:0 შეკშარდი (4:0)

ვაშაში 3:1 პუტნოკი (3:1)

ფეჰერვარი 3:2 დიორი (1:1)

კაპოშვარი 2:1 ფერენცვაროში (2:2)

შოპრონი 0:3 ჰონვედი (1:2)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პირველი რჩევა მრჩეველს: ნუღარ გაგვაკრიტიკებთ!

## უარი თურქეთს საქართველოს სასარგებლოდ



„კაიზერსლაუტერნს“ დაუბრუნდა კაცი, რომელმაც ამ გუნდის ისტორიაში ყველაზე მეტი გოლი გაიტანა — 108 ლაუტერნული გოლის ავტორი კლაუს ტოპმიოლერი კლუბის სამეთვალყურეო საბჭოში სპორტულ მრჩევლად დაინიშნა — ეს ამბავი „კაიზერსლაუტერნის“ ხელმძღვანელთა სხდომაზე გადაწყდა.

ეს თავად ტოპმიოლერის შეთავაზება იყო, უხელფასოდ ვიმუშავებ „ლაუტერნში“ და მხოლოდ რჩევებს მოგცემთო.

ამავდროულად, საქართველოს ნაკრების თავკაცმა მშობლიური კლუბი იმაზეც გააკრიტიკა, საშინელი შედეგები გაქვთო, რაზეც „წითლების“ სპორტული დირექტორი მიხაელ შიონბერგი იქით გაუწყრა, ჩვენი გაჭირვება გვყოფნის, ფეხბურთელები უარესად ნერვიულობენ, კრიტიკას რომ ისმენენო.

„ვამაყობ, რომ „კაიზერსლაუტერნის“ სამსახურში ვარ. ეს კლუბი ჩემთვის ბევრს ნიშნავს. ბედნიერი ვიქნები, თუ გუნდი კრიზისს თავს დააღწევს“ — თქვა ტოპმიოლერმა მრჩევლად დანიშვნის მერე.

და კიდევ, გერმანულ „კიკერში“ ტოპმიოლერის ეს ნათქვამი დაიბეჭდა: „ახლახან მიმზიდველი წინადადება მივიღე თურქეთიდან. წელიწადში 1,5 მილიონ ევროს მთავაზობდნენ, მაგრამ მე საქართველოს ნაკრებში ვაგრძელებ მუშაობას.“

**ილია ნანობაშვილი**

# ახალი დეტალები ამისულაშვილზე



ალეკო ამისულაშვილის გარშემო ატეხილ სკანდალზე ახალი დეტალები ამოტივტივდა, მთავარი კი თავშივე ვთქვათ: ქართველ ფეხბურთელს სამართალდამცავები ღიად ვერ ადებენ ხელს — დასაპატიმრებლად საკმარისი მტკიცებულებები არ აქვთ.

შეგახსენებთ: საქმე ეხება 4 ნოემბერს ვლადივოსტოკში 25 წლის გოგონას, ვინმე ალესიას გაუპატიურებას. ამ გოგონამ ქალაქ ფრუნზეს რაიონის მილიციის განყოფილებაში საჩელი შეიტანა, რის საფუძველზეც დააკავეს ნალჩიკელი ალეკო ამისულაშვილი. წინა დღეს ამისულაშვილის „სპარტაკს“ ვლადივოსტოკის „ლუჩ-ენერგიასთან“ ჰქონდა მატჩი, გუნდი კი მის გარეშე წამოვიდა ვლადივოსტოკიდან. ალეკო ჩვენების მიცემის შემდეგ გაათავისუფლეს და ნალჩიკში დაბრუნების უფლება მისცეს.

და აი, რუსული მედია ავრცელებს ახალ ცნობებს:

როგორც ამბობენ, გაუპატიურების მცდელობა ვლადივოსტოკის კაფე „მიატნი ტრიუფელთან“ მომხდარა. იქვე მაღაზიის თავზე დამონტაჟებულმა კამერამ კი ყველაფერი აღწერა.

„როცა ჩვენი თანამშრომლები შემთხვევის ადგილზე მივიდნენ, მან გოგონას ცემა დაუწყო, კისერში სწვდა და არ უშვებდა. თანამშრომლებმა მოძალადეს დამორჩილება მოსთხოვეს. მან წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ მერე დამშვიდდა და როგორც თანამშრომლებს, ასევე გოგონას ფული შესთავაზა“ — აცხადებენ მილიციაში.

პრიმორსკის მხარის პროკურატურის გამომძიებელმა კი თქვა, ახლა კვლევა მიმდინარეობს და სანამ ყველაფერი დეტალურად არ გაირკვევა, ადამიანის დაჭერის უფლება არავის აქვსო.

გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდაში“ კი მავანი მილიციის კაპიტანი წერს: „უხმო ფირი ყველაფერს ვერ ჰფენს ნათელს, თუმცა ცხადად კი ჩანს, რომ ქალი თავის დახსნას ცდილობს, მამაკაცი კი აშკარა აგრესიით ძირს აგდებს და მის გაგუდვასაც კი ცდილობს. მამაკაცი მანიაკის შთაბეჭდილებას ტოვებს და ვერ გამიგია, რატომ არ დაიჭირეს. ასევე მაკვირვებს გამვლელების რეაქცია, რომლებმაც იქაურობას გვერდი ისე აუარეს, თითქოს არაფერი ხდებოდა.“

და კიდევ...

„დაკავებულმა აგვიხსნა, რომ გოგონას დოლარების დასტა აჩვენა და ისიც დათანხმდა... მერე, ალბათ, თავდამსხმელმა ფული არ გადაუხადა, გოგონაც განაწყენდა და გაუპატიურებაში დაადანაშაულა“ — უთხრა ანონიმურმა პიროვნებამ „იზვესტიას“.

გუშინ უკვე ვწერდით, რომ თავად ამისულაშვილი ამ ბრალდებას მონაჩმახს უწოდებს, საძაგელი ტყუილია, ამ საქმეზე ჩემი კლუბი მუშაობს და ტყუილის მთქმელ-დამწერნი პასუხს აგებენო.

ნალჩიკის „სპარტაკის“ მთავარი მწვრთნელი იური კრასნოჟანი ამბობს, ჩვენ ყველაფრის გარკვევა გვსურს, პრიმორსკის მხარის პროკურატურისგან ახსნა-განმარტებას მოვითხოვთ — საშა (ამისულაშვილი) ან შეცდომით შევიძინეთ, ანაც ეს „სპარტაკის“ და მისი ფეხბურთელის ფეხბურთელის სახელის ლაფში ამოსვრის მცდელობააო.

**ილია ნანობაშვილი**

# გოგუას ახალი საქმე?

## ქართველის ტრანსფერში ისევ გაუგებრობაა



გოგიტა გოგუასთვის ეს წელიწადი როგორი ხლაფორთითაც დაიწყო, ალბათ, ისეთივეთი დამთავრდება.

გეხსომებათ, მაშინ გოგიტას შოტლანდიურ „ჰარტსში“ გადასვლის უფლება სანაკრებო პროცენტების უკმარისობის გამო არ მისცეს, ახლა კი...

თურმე რუსეთის ფეხბურთის კავშირის სადავო პალატაში დევს „გოგუას საქმე“, რომელიც ეხება მისი „ხიმკიდან“ „სატურნში“ ტრანსფერს. ცნობილია ის, რომ „სატურნი“ უარზეა, 500 ათასი დოლარი გადაუხადოს „ხიმკის“ და საქმე ამიტომ გადაეცა კავშირის სადავო პალატას.

როგორც ირკვევა, გოგუას „სატურნიდან“ წასვლა მოუწევს და ამ ამბებს, ცხადია, გაგრძელებაც მოჰყვება.

და სიახლეც: კლაუს ტოპმიოლერმა ყატართან და ლიტვასთან გამოძახებულ ფეხბურთელთა სიას გოგუაც დაამატა. გეხსომებათ, გოგიტამ ბოლოს ნაკრებში მარტში შოტლანდიასთან ითამაშა და მას შემდეგ მცირე კონფლიქტის გამო ტოპი მას აღარ იძახებდა.

**ილია ნანობაშვილი**

# ქართველებმა ყარაგანდა ასწიეს



ყარაგანდის „შახტიორი“ 12-წლიანი ლოდინის შემდეგ ყაზახეთის ჩემპიონატის საპრიზო ადგილზე გავიდა. ჩვენთვის კი ეს ამბავი ამ გუნდში ქართველთა ყოფნით არის საინტერესო.

რევაზ ძოძუაშვილის გაწვრთნილმა „შახტიორმა“ გუშინ „ალმატისთან“ 1:1 ითამაშა და ეს ქულა ლევან მელქაძის გოლით აიღო.

გეცოდინებათ, მელქაძის გარდა, ყარაგანდელთა გუნდში ლაშა ნოზაძეც თამაშობს და ლიდერებადაც სწორედ ჩვენები ითვლებიან.

„შახტიორი“, სულ ცოტა, მესამე ადგილზე გავა, თუმც მეორეზე ასოცების შანსიც აქვს: თუ ჩემპიონატის დარჩენილ ორივე მატჩს მოიგებს.

**ილია ნანობაშვილი**

# კალაძე თქვეს, კალაძემ თქვა



იტალიური „მილანის“ ქართველმა მცველმა კახა კალაძემ ტრავმის კვალი საბოლოოდ მოიშორა და შშვენიერ ფორმაშია.

ჩემპიონთა ლიგის გუშინწინდელ მატჩში დონეცკის „შახტართან“ კალაძემ სრულად ითამაშა და ერთ-ერთი საუკეთესოც იყო მოედანზე. იტალიურმა „ლა გაძეტა დელო სპორტმა“ ჩვენიანს 6,5 ქულა დაუწერა და დადებითად დაახასიათა.

კალაძე ნამატჩევს ჟურნალისტებმაც მოიხელთეს: „პირველ ტაიმში გაგვიჭირდა. აშკარად გამოჩნდა, რომ „შახტარი“ ფრეზე თამაშობდა, კონტრშეტევებზე გვისაფრდებოდა და ცარიელი ზონებიც არ რჩებოდა. პირველი გოლის მერე კი ამოვისუნთქეთ, თავისუფლად ავთამაშდით. „შახტარს“ შეტევა შეუძლია, მაგრამ დაცვაში პრობლემები აქვს“.

**კახა ზალამბერიძე**

**2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი**

## ჩვენი მეტოქე

# უკრაინას გამწარება დარჩა

საქართველოს ნაკრების მსგავსად, უკრაინის ნაკრებსაც აღარ დარჩა ევროპის ჩემპიონატზე თამაშის შანსი, თუმცა უკრაინელებს ის კი შეუძლიათ, საფრანგეთის ნაკრები დატოვონ ევროპის მიღმა. ოლეგ ბლოხინის გუნდი 21 ნოემბერს ხვდება „მამლებს“, მანამდე კი ლიტვის ნაკრებს გაეჯიბრება.

*მეკარეები: ალექსანდრ შოვკოვსკი (დინამო), ანდრეი პიტოვი (შახტარი);*

*მცველები: ანდრეი ნესმაჩნი, სერგეი ფიოდოროვი (ორივე დინამო), ვლადიმერ ეზერსკი, ალექსანდრ კუჩერი (ორივე შახტარი), ანდრეი რუსოლი (დნიპრო);*

*ნახევარმცველები: ოლეგ გუსევი, რუსლან როტანი (ორივე დინამო), სერგეი ნაზარენკო, ოლეგ შელაევი, ალექსანდრ გრიცაი (ყველა დნიპრო), ალექსეი გაი (შახტარი), მაქსიმ კალინიჩენკო (სპარტაკი, რუსეთი), ანატოლი ტიმოშჩუკი (ზენიტი, რუსეთი);*

*თავდამსხმელები: ანდრეი ვორობეი (დნიპრო), ანდრეი ვორონინი (ლივერპული, ინგლისი), არტიომ მილევსკი (დინამო), ანდრეი შევჩენკო (ჩელსი, ინგლისი).*

# ამხანაგური მატჩი

# მერანი ზეცამ და ბიჭებმა დაასველეს




**საქართველო 1:2 რუსეთი**

0:1 ნუროვი (8), 1:1 ვაშაკიძე (20), 1:2 მირცხულავა (63ს.კ.)

**საქართველო:** მაქაცარია, ამაშუკელი, მირცხულავა, ფუტკარაძე, ქვარცხავა, ჩელებაძე (ქვარაია 17), მამულაძე, ძალამიძე (ხარლამოვი 71), ანანიძე, ჯიშკარიანი (შეყილაძე 17), ვაშაკიძე (გულუა 57)

**მწვრთნელი:** ჰერბერტ ცანკერი

**რუსეთი:** პლოხიხი, ერემეევი, ჭეჟია, რიაბოვი, ნიკიტინი, კირეევი, ემელიანოვი, ნიკიტინსკი (ევსეევი 35; ხოდორევი 76), ნუროვი, ივანიკოვი (სინელნიკოვი 59), შელაევი (ობუხოვი 87).

**მწვრთნელი:** იური სმოლიანინოვი

**გაფრთხილება:** ჭეჟია (39), ემელიანოვი (44), შალაევი (65)

**მსაჯები:** გ. კიკაჩეიშვილი; ხ. მაისურაძე, ქ. გაიპარაშვილი; გ. ვადაჭკორია

**საქართველოსა** და რუსეთის 16-წლამდელებმა ზაფხული შემოდგომაზეც გაიმეორეს. ივლისში მოსკოვური ორმატჩიანი დუელის მსგავსად, გუნდებმა თბილისშიც თითო მოიგეს, თუმც გუშინდელი მატჩის შემყურეს გულიც დაგვწყდა — ქართველებმა „მერანზე“ პირველ შეხვედრაზე უკეთ ითამაშეს და დამარცხდნენ. ორი დღით ადრე კი, შეგახსენებთ, „ამერზე“ მატჩი ჩვენი ნაკრების 2:1 გამარჯვებით დასრულდა.

მატჩი თანაბარ ბრძოლაში დაიწყო. პირველი შეხვედრისგან განსხვავებით, რუსები უფრო აგრესიულად გამოიყურებოდნენ, განსაკუთრებით მათი თავდამსხმელი გიორგი ნუროვი გამოირჩეოდა, რომელმაც პირველი მატჩის მსგავსად, გუშინაც იხეირა და მე-8 წუთზე ნიკიტინსკის პასით გაიტანა.

ჰერბერტ ცანკერმა შეცვლებს მიმართა და შედეგიც მიიღო — ირაკლი შეყილაძე მოედანზე სამიოდე წუთის შესულიც არ იყო, რომ მარცხენა ფრთაზე რამდენიმე ფეხბურთელს გასცდა და გიორგი ვაშაკიძეს ისეთი პასი მისცა, არ გაეტანა, საცოდაობა იქნებოდა.

გოლმა ქართველებს სიმხნევე შემატა და უფრო ლაღად ათამაშდნენ. მოედნის ცენტრში ყველაფერი გამოსდიოდათ, თუმც ბოლო ფაზაში უკეთ ვერ ირჯებოდნენ. პირიქით, საგოლე მომენტი რუსებს ჰქონდათ: იმავ ნუროვის თავური ალეკო მაქაცარიამ კუთხურზე მოიგერია.

მეორე ტაიმიც ქართველთა შეტევებით დაიწყო. ჩვენებმა რამდენიმე კარგი მომენტი ვერ გამოიყენეს და სწორედ იმ დროს, რომ იტყვიან, გოლი მომწიფდაო, საკუთარ კარში მიიღეს.

63-ე წუთზე რუსებმა ჯარიმა ჩააწოდეს, მაქაცარიამ ბურთი მუშტებით მოიგერია, მაგრამ იქვე მდგომ ბაქარ მირცხულავას გაარტყა, რომლისგანაც ბურთი ჩვენს კარში აღმოჩნდა.

კურიოზული გოლის შემდეგ ქართველებმა მთელი გუნდით შეუტიეს. ამის გამო დაცვა უფრო გაიხსნა და ორ წუთში ოლეგ შელაევი მეკარესთან პირისპირ დარჩა — რუს თავდამსხმელს რომ ევარგა, სხვაობას გაზრდიდა.

ეს იყო და ეს, რუსები ჩვენს ნახევარზე თითქმის არ გადმოსულან. ქართველები მეტოქის კარისკენ დაიგეშნენ, მაგრამ დრო რაც უფრო იწურებოდა, მათ შეტევებს სიმწვავეც აკლდებოდა. ჩვენებმა მატჩის გადარჩენა ვერ მოახერხეს და მოედანი ისეთივე სველი თვალებით დატოვეს, როგორც გუშინდელ წვიმაში „მერანის“ სტადიონი გამოიყურებოდა.

ნამატჩევს სტუმართა მთავარმა მწვრთნელმა იური სმოლიანინოვმა ჩვენი ფეხბურთელების მიმართ საქებარი სიტყვები არ დაიშურა, მათ ტექნიკურობა შეუქო და ქართულ სტუმართმოყვარეობაზეც ბევრი ილაპარაკა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# რა ამბავია, სამჯერ რუსეთის?!

გუშინ, „მერანის“ სტადიონზე, საქართველოსა და რუსეთის 16-წლამდელთა მატჩს, როგორც წესი მოითხოვს, მეტოქეთა ჰიმნები უძღვოდა, მაგრამ, ვაგლახ, რუსებმა 3:1 მოგვიგეს.

უფრო ნათლად რომ ვთქვათ, რუსეთის ჰიმნი, ტექნიკის გაუმართაობის თუ სხვა რამის გამო ხალხმა სამჯერ მოისმინა, საქართველოსი კი — ერთხელ.




ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახლა უკვე გვიანია ირაკლი ჭეჟია რუსეთს ჩამოჰყვა

ქართული გვარი სხვა ქვეყნის ნაკრებსა და კლუბებში უცხო ხილი არ არის. ჩვენები განსაკუთრებით რუსეთსა და უკრაინაში ჭარბობენ. რუსეთის 16-წლამდელთა ნაკრებთან ერთად თბილისს მცველი ირაკლი ჭეჟია სტუმრობდა, რომელმაც საიმედო თამაშით თავი მართლაც დაგვამახსოვრა. საიდან მოხვდა ქართველი რუსეთის ნაკრებში მაშინ, როდესაც დასაკარგი არავინ გვყავს? თუმცა დასაკარგი არც რუსებს ჰყავთ, რადგან მათმა მწვრთნელმა იური სმოლიანინოვმა ხუმრობით თუ სერიოზულად გვითხრა, ჭეჟიას გადაბირებას ნუ შეეცდებით, ეგ უკვე ჩვენიაო. ჩვენ კი რუსეთის ნაკრების ქართველ ფეხბურთელს გუშინ გავესაუბრეთ — ირაკლიმ დამტვრეული ქართული იუხერხულა და გვთხოვა, რუსულად ვისაუბროთო...

**— წარმოშობით საიდან ხარ?**

— გალიდან, თუმცა საქართველოში დიდი ხანი არ მიცხოვრია. 8 თვის ვიყავი, როდესაც ჩემი ოჯახი მოსკოვში გადავიდა და მას შემდეგ იქ ვცხოვრობთ. აქ ნათესავები მყავს, რომლებიც ჩემს სანახავად ზუგდიდიდანაც კი ჩამოვიდნენ.

**— თავად თუ ჩამოდიოდი საქართველოში?**

— რამდენჯერმე, ოღონდ ბოლოს ექვსი წლის წინ ვიყავი. ვარჯიში და სწავლა ბოლო დროს ამის საშუალებას არ მაძლევს.

**— ვარჯიში სად დაიწყე და რუსეთის ნაკრებში როგორ მოხვდი?**

— შვიდი წლის ვიყავი, როდესაც „სპარტაკის“ ბავშვთა სკოლაში მივედი და მას შემდეგ იქ ვარ. ნაკრების მწვრთნელებმა შემამჩნიეს და დამიძახეს. სიმართლე გითხრათ, არჩევანი არც მქონია, რომელი ქვეყნის ნაკრებში მეთამაშა. ახლა კი უკვე გვიანია...

**— ქართულ ფეხბურთს ან ნაკრების თამაშებს თუ ადევნებ თვალს?**

— სამწუხაროდ, ჩვენთან საქართველოს ნაკრების თამაშებს თითქმის არ აჩვენებენ, მით უფრო, საქართველოს ჩემპიონატს. ისე კი, ქართველი ფეხბურთელები გამიგია და მინახავს.

**— კერძოდ?**

— კობიაშვილი, კალაძე და კიდევ ერთი, გერმანიაში რომ თამაშობს.

**— იაშვილი?**

— დიახ და, რა თქმა უნდა, ასათიანი, მისი თამაში ბევრჯერ მაქვს ნანახი.

**— ასათიანმა ახლახან „სპარტაკს“ ბოლო წუთზე გოლიც გაუტანა...**

— დიახ, გაუტანა...

**— ქართველი თანატოლების წინააღმდეგ უკვე რამდენჯერმე ითამაშე, რა შთაბეჭდილება დაგრჩა?**

— კარგი ბიჭები არიან, სწრაფები, ტექნიკურები, რაც მთავარია, მეგობრულები.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# ხელოვნურობა არ შეიძლება!

**არსენ ვენგერმა** ალექს ფერგიუსონს ხურდა დაუბრუნა — მლიქვნელი უწოდა.

„სარბიელის“ მკითხველს ეხსომება, რომ პირველი იერიში „არსენალის“ ფრანგ თავკაცზე „მანჩესტერ იუნაიტედის“ შოტლანდიელმა მწვრთნელმა მიიტანა. მან განაცხადა, რომ ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერის მოწოდება, ინგლისურ კლუბებში მეტი ინგლისელი ფეხბურთელი ათამაშონ, „მეთოფეთა“ მსგავსი კლუბებისთვის დამღუპველი იქნება.

კოლეგაზე განრისხებულმა ვენგერმა განაცხადა: „დააკვირდით, რა თანხებს ხარჯავს „მანჩესტერ იუნაიტედი“ წლის განმავლობაში უცხოელი ფეხბურთელების საყიდლად. ვერ გეტყვით, რაში დასჭირდა ალექს ფერგიუსონს ასეთი სიტყვების თქმა, მაგრამ მე რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ უცხოელი ფეხბურთელი ვიყო, ძალიან უკმაყოფილო დავრჩებოდი. თუმცა, მეორე მხრივ, თუ ეს რაიმეს უშველის, მზად ვარ, ინგლისური ფეხბურთის ყველა პრობლემა მე დამბრალდეს“.

ცნობისთვის: ალექს ფერგიუსონმა გასულ ზაფხულს უცხოელი ფეხბურთელების ყიდვაში 37 მილიონი გირვანქა დახარჯა. ეს ფეხბურთელები გახლდნენ ანდერსონი, ნანი, კარლოს ტევესი და ტომაშ კუშჩაკი. სატრანსფერო სეზონის ერთადერთი ინგლისელი შენაძენი გახლდათ ოუენ ჰარგრივსი, რომელშიც „იუნაიტედმა“ 18 მილიონი გადაიხადა.

მეორე მხრივ, „მანჩესტერ იუნაიტედს“ ის ნამდვილად ეთქმის, რომ ძირითად შემადგენლობაში ინგლისელი ფეხბურთელებიც ჰყავს, მაშინ, როდესაც „არსენალში“ ერთადერთი ინგლისელი ჭაბუკი თეო უოლკოტია.

ვენგერმა განარძო: „ჩემი ღრმა რწმენით, სპორტში მთავარი ყოველთვის ხარისხი იყო და თითიდან გამოწოვილი, ხელოვნური კანონები სიკეთეს არ მოიტანს. კლასში სწავლების დონე დაბლა რომ დასწიო, ცუდი სტუდენტები არ გაბეჯითდებიან. პროგრესი მხოლოდ საუკეთესოების შეჯიბრებით მიიღება. მოსახლეობას საუკეთესო სჭირდება“.

**პაპუნა ძიდია**

# ჯერ დავფიქრდეთ და მერე



**ხუანდე რამოსმა** „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ ბულგარელ თავდამსხმელ დიმიტარ ბერბატოვს გამოფხიზლებისკენ მოუწოდა, გულშემატკივარს კი პირობა დაუდო, რომ თავიანთ ვარსკვლავს მალე სრული ძალით ათამაშებულს ნახავენ.

მოგეხსენებათ, „მამლების“ ახალმა მწვრთნელმა ბერბატოვი პრემიერლიგის შეხვედრაში „მიდლსბროსთან“ არ ათამაშა, საერთოდ არ წაიყვანა ამ ქალაქში, მაგრამ, სამაგიეროდ, იახლა თელ ავივში, სადაც ინგლისურ გუნდს უეფას თასის თამაში ელის „ჰაპოელთან“.

რამოსმა განაცხადა: „ბერბატოვი დიდებული ფეხბურთელია. ახლა ჩვენ უნდა მოვძებნოთ მიზეზები, თუ რატომ ვერ თამაშობს ბოლოხანს ის ისე, როგორც შეუძლია. დიახ, „ტოტენჰემი“ დიდი კლუბია, მაგრამ ისტორია და მიღწევები ერთია, დღევანდელი შედეგები კი მეორე. აგერ უკვე რა ხანია, „მამლებს“ არაფერი მოუგიათ. მათ დღევანდელ მდგომარეობას ესპანეთში მადრიდის „ატლეტიკოს“ მდგომარეობას შევადარებდი. ესენი უდიდესი სახელისა და ცუდი შედეგების გუნდებია“.

და მართლაც, თუ ისტორიას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ „უაით ჰართ ლეინზე“ შეკრებილმა ხალხმა ბოლოს 1991 წელს უორთინგტონის თასის აღმართვა იხეიმა.

რამოსი განაგრძობს: „ერთ კვირაში დასკვნებს ნუ მომთხოვთ, მაგრამ ფაქტია, რომ სერიოზული პრობლემის წინაშე ვდგავართ. სანამ გუნდის შემადგენლობაზე უფრო ცხად წარმოდგენას არ შევიქმნი, მანამდე ახალ ტრანსფერებზე ვერაფერს მოგახსენებთ. ახლა ჩვენთვის სეზონის გადარჩენაა მთავარი, მოდიფიცირებას კი აჩქარების გარეშე ამის შემდეგ შევუდგებით“.

აღსანიშნავია, რომ ხუანდე რამოსმა თავისი პირით თქვა, „ტოტენჰემი“ პირველად აგვისტოში დამიკავშირდაო, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ახალი გუნდი, შესაძლოა, დააჯარიმონ, რადგან გამოდის, რომ ლონდონელები მწვრთნელს „სევილიას“ კლუბის ხელმძღვანელების ზურგსუკან გარიგებიან. კიდევ, რამოსი აღიარებს, რომ თავისი ყოფილი გუნდიდან ძალიან უნდა 30 წლის ფრედი კანუტის წამოყვანა...

„კანუტი ნებისმიერი გუნდისთვის დიდი შენაძენი იქნება“.

თავის მხრივ, კანუტის აგენტმა კრისტოფ მონგაიმ განაცხადა: „ფრედერიკს „ტოტენჰემი“ ძალიან უყვარს და იანვარში მისი ლონდონში გადაბარგება სულაც არ იქნება გამორიცხული“.

**პაპუნა ძიდია**

## უეფას თასი 2007-08. ჯგუფური ეტაპი

# უეფას თასი ჯგუფურად ხურდება

**A ჯგუფი**

ლარისა — ზენიტი

ნიურნბერგი — ევერტონი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ევერტონი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| ალკმაარი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ზენიტი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ნიურნბერგი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ლარისა | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |

**B ჯგუფი**

კოპენჰაგენი — პანათინაიკოსი

აბერდინი — ლოკომოტივი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ატლეტიკო | 1 | 0 | 1 | 0 | 3:3 | 1 |
| ლოკომოტივი | 1 | 0 | 1 | 0 | 3:3 | 1 |
| კოპენჰაგენი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| აბერდინი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

**C ჯგუფი**

ბოლესლავი — ვილიარეალი

ფიორენტინა — ელფსბორგი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აეკ | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ფიორენტინა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ვილიარეალი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ელფსბორგი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ბოლესლავი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |

**D ჯგუფი**

რენი — ბრანი

დინამო — ბაზელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰამბურგი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ბაზელი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| დინამო | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ბრანი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| რენი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |

**E ჯგუფი**

სპარტაკი — ლევერკუზენი

ტულუზი — სპარტა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ციურიხი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ლევერკუზენი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| სპარტაკი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| სპარტა | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ტულუზი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |

**F ჯგუფი**

ბაიერნი — ბოლტონი

არისი — ცრვენა ზვეზდა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| ბრაგა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ბოლტონი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| არისი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ცრვენა ზვეზდა | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |

**G ჯგუფი**

ჰაპოელი — ტოტენჰემი

ოლბორგი — ანდერლეხტი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ხეტაფე | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ოლბორგი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ტოტენჰემი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ჰაპოელი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

**H ჯგუფი**

გალათასარაი — ჰელსინგბორგი

აუსტრია — ბორდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორდო | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| პანიონიოსი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ჰელსინგბორგი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| აუსტრია | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| გალათასარაი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |



ოტმარ ჰიცფელდი

**პრემიერლიგის** ორ აუტსაიდერს, „ტოტენჰემს“ და „ბოლტონს“ რთული მატჩები ელით თელ ავივში და მიუნხენში. „ტოტენჰემსაც“ ახალი მწვრთნელი ჰყავს (ხუანდე რამოსი) და „ბოლტონსაც“ (გარი მეგსონი). დღეს მათი დებიუტი უეფას თასზე შედგება.

პირველ ტურში „მამლებმა“ შინ „ხეტაფესთან“ წააგეს, რის შედეგადაც მარტინ იოლი მოხსნეს. ხოლო ბოლტონელებმა „ბრაგას“ უმასპინძლეს და დაუზავდნენ. გარი მეგსონის შეგირდები გამოცდას მიუნხენის „ბაიერნთან“ ჩააბარებენ, რომელმაც ორი კვირის წინ სტუმრად ბელგრადში „ცრვენა ზვეზდასთან“ 3:2 მოიგო.

„ბაიერნმა“ ბუნდესლიგაში გასულ ტურში შინ „აინტრახტი“ ვერ დაამარცხა (0:0), ხოლო „ბოლტონმა“ მეტოქე „ჰაპოელს“ შინ ევროთასებზე უკვე ექვსი მატჩია, არ წაუგია, მაგრამ ხუანდე რამოსს გამარჯვების იმედი აქვს.

მიუნხენის „ბაიერნს“ ვილი სანიოლი გამოუკეთდა და, შესაძლოა, ძირითად შემადგენლობაში იყოს. ხოსე სოსამაც ვარჯიში დაიწყო, კარში კი ოლივერ კანი იდგება.

„ძალიან მიხარია, რომ თითქმის ყველა ფეხბურთელი გამოჯანმრთელდა“ — თქვა ოტმარ ჰიცფელდმა.

მესამე ინგლისური კლუბი „ევერტონი“, ისევე, როგორც „ბოლტონი“, გერმანიას ეწვევა და „ნიურნბერგს“ შეხვდება, რომელმაც ბუნდესლიგაში შინ „შტუტგარტთან“ 0:1 წააგო.

„ჩვენ სახლში ურიგოდ არ ვთამაშობთ, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ ვაღწევთ. ვიმედოვნებთ, რომ ნავსს გავტეხთ და ხუთშაბათს მოვიგებთ“ — თქვა „ნიურნბერგის“ თავკაცმა ჰანს მაიერმა.

„ევერტონმა“ შაბათს „ბირმინგემს“ 3:1 მოუგო აიებენის, კარსლის და ვუგანის გოლებით და მერვე ადგილზეა, ხოლო „ნიურნბერგი“ ბოლოდან მესამე საფეხურზეა.

ამ სეზონში დაუმარცხებელი „ფიორენტინა“, რომელმაც შაბათს სტუმრად „ლაციოს“ 1:0 სძლია, „ელფსბორგს“ უმასპინძლებს. „იებს“ მცველი ალესანდრო გამბერინი ტრავმის გამო დააკლდებათ. პირველ ტურში „ელფსბორგი“ შინ აეკ-ს დაუზავდა, ხოლო „ფიორენტინა“ სტუმრად „ვილიარეალს“.

„ვილიარეალი“ ჩეხეთში „ბოლესლავს“ ეწვევა კარგ განწყობაზე, რადგან პრიმერადივიზიონში მადრიდში „ატლეტიკოს“ 4:3 მოუგო. ესპანურ კლუბს დღევანდელ მატჩში დაშავებული ფორვარდი ჯუზეპე როსი ვერ დაეხმარება. 20 წლის როსიმ ამ სეზონში შვიდი გოლი გაიტანა, მაგრამ კვირას „ატლეტიკოსთან“ ტრავმა მიიღო და ერთი თვე ვეღარ ითამაშებს.

ნორვეგიის ჩემპიონი „ბრანი“ საფრანგეთში „რენს“ ეწვევა. ბრანელებმა შინაური ჩემპიონატის ბოლო ტურში „ტრომსიოსთან“ მთავარი ფეხბურთელები დაასვენეს და 0:3 წააგეს, ხოლო „რენი“ შინ „მონაკოსთან“ 0:1 დამარცხდა.

ფრანგებს ტრავმის გამო დააკლდებათ 33 წლის ფორვარდი სილვენ ვილტორდი, რომელმაც ამ სეზონში სამი გოლი მიითვალა.

პირველ ტურში „ბრანს“ „ჰამბურგმა“ მოუგო, „რენს“ კი „ბაზელმა“.

**ვაჟა ხუციშვილი**




რუსეთის ჩემპიონობისთვის მებრძოლი „ზენიტი“ უკან დახევას არც უეფას თასზე აპირებს

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

## ჩემპიონთა ლიგა 2007-2008
## ჯგუფური ეტაპი. მეოთხე ტური



რაიან ბაბელის ეფექტური გოლი

# გავახილე თვალი, გოლ! ისევ გავახილე, ისევ გოლ!

**A ჯგუფი**

**ლივერპული 8:0 ბეშიქთაში**

1:0 კრაუჩი (19), 2:0, 3:0, 4:0 ბენაიუნი (32, 53, 56), 5:0 ჯერარდი (69), 6:0, 7:0 ბაბელი (78, 81), 8:0 კრაუჩი (89)

**ლივერპული:** რეინა, კარაგერი, ჰიიპია, რიისე, ფ. აურელიო (ბაბელი 63), ჯერარდი (ლუკასი 74), მასკერანო, არბელოა, ვორონინი (კიუელი 73), ბენაიუნი, კრაუჩი

**მწვრთნელი:** რაფაელ ბენიტესი

**ბეშიქთაში:** არიკანი, კურტულუში (ფ. იგუაინი 52), სედეფი (რიკარდინიო 78), მ. დელგადო, ლ. დიატა, ე. სისე, უზულმეზი, ოზკანი (თანდოგანი 46), ავჩი, ტორამანი, ბობო

**მწვრთნელი:** ერთუღრულ საღლამი

**გაფრთხილება:** ოზკანი

**მსაჯი:** მარკუს მერკი (გერმანია)

41 143 მაყურებელი

„**შიშისგან** თვალების გახელა აღარ მინდოდა — თქვა თურქული გაზეთის „ჰურიეტის" ჟურნალისტმა, რომელიც „ენფილდზე" იჯდა — რამდენჯერაც გავახილე, გოლი გაგვიტანეს".

„ლივერპულმა" ჩემპიონთა ლიგის რეკორდი დაამყარა, „ბეშიქთაშის" საცოდავმა მეკარე ჰაკან არიკანმა კი თავისი „რეკორდი" — 70 წუთში ბურთი კარიდან რვაჯერ გამოიტანა.

თურქული კლუბის პრეზიდენტმა ილდირიმ დემირორენმა განაცხადა, რომ ორშაბათს დირექტორთა საბჭო შეიკრიბება და, შესაძლოა, რამდენიმე ფეხბურთელი გუნდიდან დაითხოვონ.

ერთ-ერთმა გაზეთმა „ბეშიქთაშის" მწვრთნელები დახატა საკუთარი თავებით ხელში, ხოლო „აქშამმა" დაჩოქილი არიკანი გამოიტანა პირველ გვერდზე — მეკარე სიმწრისგან მაისურის შემოფლეთას ცდილობს.

„ლივერპულმა" ნაირ-ნაირი გოლებით ასიამოვნა გულშემატკივრები, მაგრამ რაიან ბაბელისა ორივე საუცხოო იყო — ჯერ ქუსლით შეაგდო, სამი წუთის შემდეგ კი კარიდან წინ გამოსულ არიკანს ბურთი თავზე გადაავლო.

აღსანიშნავია, რომ რვიდან შვიდი გოლი იმ ფეხბურთელებმა მიითვალეს, რომლებსაც რაფაელ ბენიტესი ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ათამაშებს.

„ბოლოს 8:0 სკოლაში თამაშისას მოვიგე!" — ხარობდა კრაუჩი, ვისაც მწვრთნელი ბოლოხანს არ სწყალობდა, ხოლო ბენიტესმა თქვა: „ჩვენ ვცდილობთ ჯილდოების მოგებას და არა რეკორდების წიგნში შესვლას. თუ ჯილდოს ვერ დავეუფლებით, რეკორდი მაინც შეგვრჩება და ესეც კარგია. თავდამსხმელებმა ძალიან იყოჩაღეს, თუმც მთელი გუნდი დღეს შესანიშნავი იყო".

თურქთა დაღონებულ მწვრთნელს ერთუღრულ საღლამს საქმე საბოდიშოდ გაუხდა: „ეს საშინელი საღამო იყო ჩვენთვის და ისღა დამრჩენია, გულშემატკივრებს მოვუბოდიშო".

**პორტუ 2:1 მარსელი**

1:0 სეკტიუი (27), 1:1 ნიანგი (47), 2:1 ლოპესი (79)

**პორტუ:** ელტონი, ბ. ალვეში, მ. სტეპანოვი, მ. ჩები (პოშტიგა 59), პ. ასუნსაო, კვარესმა, ბოსინგვა, მეირელეში (ბოლატი 68), სეკტიუი (მ. გონსალესი 87), ფუსილე, ლ. ლოპესი

**მწვრთნელი:** ჟესუალდო ფერეირა

**მარსელი:** მანდანდა, ტაივუ, როდრიგესი, მბამი (შეირუ 84), კანა, ბონარი, ვალბუენა, აიუი (არაჩე 77), გივე, ნასრი, ნიანგი (ჯ. სისე 63)

**მწვრთნელი:** ერიკ გერეტსი

**გაფრთხილება:** ელტონი, ფუსილე

**მსაჯი:** ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

42 217 მაყურებელი

„ლივერპულმა" რვა გაიტანა, მაგრამ „პორტუს" ლეგიონერმა ტარიკ სეკტიუიმ ისეთი შეასრულა „მარსელთან", რომ რვავეს სჯობდა. 30 წლის მაროკოელმა ბურთი მოედნის საკუთარი ნახევრიდან ათრია, ოთხ მცველს გასცდა, მეკარე მანდანდაც დააწვინა და ცარიელ კარში შეაგორა.

„შესანიშნავი გოლი გამოვიდა — თქვა სეკტიუიმ — საუკეთესოა ჩემს კარიერაში, ალბათ იმიტომ, რომ ეს ჩემპიონთა ლიგის მატჩში მოხდა და თან 0:0-ზე. ბურთით რომ დავიძარი, მარცხენა ფლანგისკენ წასვლა დავაპირე, მაგრამ ორ მცველს შორის ადგილი შევამჩნიე, გავძვერი, მერე ორსაც გავცდი, რადგან 30-40 მეტრის სწრაფად გარბენა შემიძლია, მერე კი ტექნიკის საქმე იყო მეკარისთვის გვერდის ავლა".

„მარსელმა" მეორე ტაიმის დასაწყისში გაათანაბრა — ლორან ბონარის ჩაწოდებულს თავი საგოლეჲდ დაჰკრა მამადუ ნიანგმა, რომელსაც 62-ე წუთზე მეორე გოლი თამაშგარე მდგომარეობის გამო არ ჩაუთვალეს. „პორტუს" გამარჯვებისა კი არგენტინელმა ფორვარდმა ლისანდრო ლოპესმა გაიტანა კვარესმას პასით. მასპინძლებმა ჯგუფში მეორე მოგება მიითვალეს და პირველ ადგილზე გადავიდნენ.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 4 | 2 | 2 | 0 | 5:3 | 8 |
| მარსელი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 7 |
| ლივერპული | 4 | 1 | 1 | 2 | 10:4 | 4 |
| ბეშიქთაში | 4 | 1 | 0 | 3 | 2:12 | 3 |

**V ტური, 28 ნოემბერი**

**ბეშიქთაში — მარსელი**

**ლივერპული — პორტუ**

# შეშინებული ლამურა

**B ჯგუფი**

**ვალენსია 0:2 რუსენბორგი**

0:1, 0:2 ივერსენი (31, 58)

**ვალენსია:** ჰილდებრანდი, მ. ფერნანდეში, ალბელდა, კანეირა, ელგერა, მორეტი (ანგულო 63), მიგელი, სილვა, ხოაკინი (ჟიგიჩი 63), ვილია, მორიენტესი (ვისენტე 46)

**მწვრთნელი:** რონალდ კუმანი

**რუსენბორგი:** ჰირშფელდი, სტოორი, უ. კონე, რისეტი, შელბრედი (სტორფლორი 80), ტეტი, ა. ტრაორე, კვარმე, საპარა (კონანი 84), დორსინი, ივერსენი

**მწვრთნელი:** ტრონდ ჰენრიკსენი

**გაფრთხილება:** ანგულო

**მსაჯი:** ალონ იეფეტი (ისრაელი)

29 725 მაყურებელი

**ორი** ახალი მწვრთნელის დუელში „რუსენბორგის" თავკაცმა ტრონდ ჰენრიკსენმა ვალენსიელ კოლეგას რონალდ კუმანს აჯობა. ორი კვირის წინ „ვალენსიამ" „რუსენბორგთან" სტუმრადაც ასეთივე ანგარიშით წააგო და მაშინ მასპინძლებს კნუტ ტორუმი, „ლამურებს" კი კიკე ფლორესი თავკაცობდნენ. ტორუმი იმ თამაშის შემდეგ წავიდა, ხოლო ფლორესი ათი დღის წინ მოხსნეს. მწვრთნელის ცვლილებამ, ეტყობა, „რუსენბორგს" უფრო არგო, რადგან „ვალენსია" მეორედაც დაარჩოქა. ნორვეგიელები ამ გამარჯვებით მეორე ადგილზე გადავიდნენ და მერვედფინალში გასვლის შანსი გაიუმჯობესეს, ხოლო „ვალენსია" ცხრილის ფსკერზე დაეშვა და საქმე გაურთულდა. „რუსენბორგმა" ჩემპიონთა ლიგაში სტუმრად გამართული 21 მატჩიდან მეორე მოიგო, სტეფან ივერსენმა კი დუბლი შეასრულა — პირველ ტაიმში საჯარიმოს ხაზიდან დაარტყა და ბურთი ძელიდან კარში შევარდა. ხოლო შესვენების შემდეგ კუთხურიდან ჩაწოდებულს დაჰკრა თავი და სხვაობა ორამდე გაზარდა.

„ჩემმა გუნდმა ძალიან კარგად ითამაშა და გამარჯვება დაიმსახურა — თქვა ტრონდ ჰენრიკსენმა — ვამაყობ „რუსენბორგის" მწვრთნელობით. დავამტკიცეთ, რომ ჩემპიონთა ლიგაში ყოფნას ვიმსახურებთ. მომეჩვენა, თითქოს „ვალენსია" შიშით თამაშობდა".

რონალდ კუმანი: „ამ მარცხის შემდეგ ჯგუფიდან გასვლა გაგვიძნელდება, მაგრამ შეუძლებელი არაფერია. „ვალენსიას" ბოლო მატჩებს თუ გადავხედავთ, აშკარაა, რომ გუნდი საუკეთესო ფორმიდან შორსაა. მაგრამ მაინც ვიტყვი: წაგებას არ ვიმსახურებდით. „რუსენბორგმა" „ჩელსისთან" შეხვედრისას დაამტკიცა, რომ ძლიერი მეტოქეა".

**შალკე 0:0 ჩელსი**

**შალკე:** ნოიერი, ვესტერმანი, ჯონსი, რაკიტიჩი, ასამოა, იოზილი (ლოვენკრანდსი 60), რაფინია, ბორდონი, კრსტაიჩი, ბაირამოვიჩი, კურანი

**მწვრთნელი:** მირკო სლომკა

**ჩელსი:** პ. ჩეხი (კუდიჩინი 46), მაკელელე, ესიენი, კარვალიუ, ალექსი, ბელეტი (მიკელი 63), ლამპარდი, ბრიჯი, ჯ. კოული, მალუდა (რაიტ-ფილიპსი 84), დროგბა

**მწვრთნელი:** ავრაამ გრანტი

**გაფრთხილება:** ესიენი, რაკიტიჩი

**მსაჯი:** მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

53 951 მაყურებელი

მასპინძლებს ბოლო წუთზე შეეძლოთ მოგება, მაგრამ პიტერ ლოვენკრანდსის დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა. „ჩელსის" მეკარე პეტრ ჩეხი პირველ ტაიმში დაშავდა და კარლო კუდიჩინიმ შეცვალა, რომელმაც შესვენების შემდეგ სტუმრები რამდენჯერმე იხსნა. ფრემ „ჩელსის" ჯგუფში პირველი ადგილი შეუნარჩუნა, ხოლო აბრაამ გრანტმა განაცხადა: „ცხადია, სამი ქულისთვის ჩამოვედით, მაგრამ „შალკე" ძალიან მონდომებული იყო და იბრძოლა. მათაც მოგება სურდათ, რადგან ჯგუფიდან გასვლის მცირე შანსიღა რჩებათ. ფრე ცუდი არაა ჩვენთვის, თუმც ჩემმა გუნდმა ამჯერად ვერ ითამაშა ისე შთამბეჭდავად, როგორც წინა მატჩებში".

მირკო სლომკა: „კოტბუსთან" წაგებულ შეხვედრასთან შედარებით, სულ სხვა, ბევრად უკეთესი ფეხბურთი ვაჩვენეთ. ფეხბურთელებს ჟინი არ აკლდათ და თავიც არ დაუზოგავთ. ბევრმა შეიძლება დაგვძრახოს იმის გამო, რომ მატჩის ბოლოს მთელი გუნდით არ შევუტიეთ, მაგრამ საჭირო იყო სიფრთხილე, რადგან „ჩელსი" კონტრიერიშებზე სახიფათოა. საგოლე მომენტები გვქონდა, ორთაბრძოლებშიც ვაჯობეთ მეტოქეს და ისღა დამრჩენია, ბიჭებს გულიანი თამაშისთვის მადლობა გადავუხადო".

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 4 | 2 | 2 | 0 | 5:2 | 8 |
| რუსენბორგი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 7 |
| შალკე | 4 | 1 | 1 | 2 | 2:3 | 4 |
| ვალენსია | 4 | 1 | 0 | 3 | 2:6 | 3 |

**V ტური, 28 ნოემბერი**

**რუსენბორგი — ჩელსი**

**ვალენსია — შალკე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა 2007–2008
ჯგუფური ეტაპი. მეოთხე ტური

# ვინააფრიალებს თეთრ დროშას?



ტომაზო როკიმ პენალტის დაამატა და 1:0

**C ჯგუფი**

**ოლიმპიაკოსი 0:0 რეალი**

**ოლიმპიაკოსი:** ნიკოპოლიდისი, პაცაცოლლუ, ჟულიო სეზარი (მენდრინოსი 75), სტოლტიდისი, გალეტი, ჟელაკოვი, ჯორჯევიჩი, კოვაჩევიჩი (კონსტანტინუ 80), რ. ბრავო (არჩუბი 53), პანტოსი, ლუა ლუა
**მწვრთნელი:** პანაიოტის ლემონისი
**რეალი:** კასილიასი, კანავარო, ს. რამოსი, დიარა, მარსელო, შაინცე, გაგო, სნეიდერი, რაული (ბალბოა 82), რობინიო (სავიოლა 82), ვან ნისტელროოი
**მწვრთნელი:** ბერნდ შუსტერი
**გაფრთხილება:** კასილიასი, რამოსი, ჯორჯევიჩი, სტოლტიდისი, პანტოსი
**მსაჯი:** ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)
33 500 მაყურებელი

**მადრიდის** „რეალი" „ოლიმპიაკოსთან" სალიგო ჯახში გაცილებით უკეთესად გამოიყურებოდა, ვიდრე პრიმერადივიზიონში „სევილიასთან" წაგებულ მატჩში, თუმცა ბერნდ შუსტერის შეგირდებმა გოლის გატანა მაინც ვერ მოახერხეს. ესპანური არმადა ელინურ სქელ კედელს წააწყდა.

საბერძნეთიდან ოდენ ქულის წამოღებით „რეალმა" საქმე გაირთულა — მომავალ ტურში თუ ქულის აღება ვერ შეძლო, სამეფო თეთრებისთვის ჯგუფში შეიძლება, უსიამოვნო სიურპრიზი მოხდეს.

„ოლიმპიაკოსს" კი, იცოცხლეთ, შემართება და გულშემატკივართა მხარდაჭერა არ აკლდა, თუმცა ბერძნები ლაზათიანი თამაშით ნამდვილად ვერ დაიკვეხნიდნენ.

სტუმრებმა საგოლე შანსების განიავება მაჰამადუ დიარას ეპიზოდიდან დაიწყეს, როცა აფრიკელმა ბურთი ძელს დააჭედა. შემდეგ რუუდ ვან ნისტელროოიმ მოინდომა, ეფექტური დარტყმით ბურთი მეკარე ანტონის ნიკოპოლიდისისთვის თავზე გადაეგდო და საბოლოო მიზნად ძელი „შეარჩია". იაქტიურეს სხვა რეალელებმაც, თუმცა ხან ბედი იყო ელინთა მხარეს, ხან უკანახაზელები თამაშობდნენ ზუსტად.

მეორე ტაიმში სიტუაცია არ შეცვლილა. „რეალი" უტევდა, ხელსაყრელ მომენტებს ქმნიდა, მაგრამ ყველაფერს წყალში ყრიდა. მასპინძლებმაც ცოტა გაიბრძოლეს და იკერ კასილიასსაც უხდებოდა ხანდახან თავის შეწუხება.

**ლაციო 2:1 ვერდერი**

1:0, 2:0 როკი (57, 68), 2:1 დიეგო (88პ)
**ლაციო:** ბალოტა, სტენდარდო, ძაური (დე სილვესტრი 18), მუტარელი, მეგნი (მანფრედინი 78), ლედესმა, კრიბარი, მუდინგაი, ბეჰრამი, მაკინვა (სკალონი 87), როკი
**მწვრთნელი:** დელიო როსი
**ვერდერი:** ვიზე, პასანენი, ბაუმანი (დ. იენსენი 32), ნალდო, ფრიცი (ჰარნიკი 76), ანდრეასენი, ბოროვსკი, მერტესაკერი, დიეგო, როზენბერგი, უგო ალმეიდა
**მწვრთნელი:** თომას შააფი
**გაფრთხილება:** სტენდარდო, დე სილვესტრი, კრიბარი, კრიბარი, დიეგო, ანდრეასენი
**გაძევება:** კრიბარი (86), დიეგო (90)
**მსაჯი:** ივან ბებეკი (ხორვატია)
28 236 მაყურებელი

„ლაციომ" რომში „ვერდერთან" გამარჯვებით ჯგუფიდან გასვლის იმედები გააცოცხლა, გერმანელები კი რთულ დღეში არიან. „ვერდერს" სამერვედფინალოდ ორივე მატჩის მოგება სჭირდება.

„სტადიო ოლიმპიკოზე" ჩატარებულ შეხვედრას ორივე გუნდისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, თუმცა მატჩის დასაწყისში მოიერიშედ მხოლოდ „ლაციო" მოგვევლინა. იტალიელებს ტრავმების გამო რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი (მეგოლე გორან პანდევის ჩათვლით) აკლდათ, მაგრამ მასპინძლებმა მეტოქეს სწრაფი რიტმი, ბრძოლა და თავდადება შესთავაზეს.

სტუმრები კი, დელიო როსის შეგირდთაგან განსხვავებით, მეტოქის საჯარიმოს იშვიათად აწუხებდნენ. „ვერდერის" ვარსკვლავი დიეგო იტალიელებმა საიმედოდ შებოჭეს და ბრაზილიელსაც ხიფათი არ შეუქმნია. ასე რომ, „ლაციოს" ვეტერანი მარკო ბალოტა პირველი ტაიმის განმავლობაში კარში თითქმის უქმად იდგა.

შესვენებამ გუნდებს უგოლო ფრეზე მიუსწრო. „ვერდერმა" უსახური თამაშით ეს ნაკლებად დაიმსახურა, თუმც გერმანელებმა მაინც მოახერხეს და შესვენებამდე კარი მშრალად შეინახეს.

თამაშის მეორე ნახევარში „ვერდერმა" თითქოს გამოიღვიძა და იქამდე მიჩქმალულმა დიეგომაც გოლის გატანა სცადა, თუმცა მისმა გასროლამ ბალოტას კარის ძელს გარედან ჩაუქროლა.

სტუმრებს ზედმეტი აქტიურობა ძვირად დაუჯდათ, ნალდო მეგნის ეუხეშა და პენალტიც აიკიდა. როკის დარტყმა მეკარე ტიმ ვიზემ მოიგერია, თუმც იტალიელმა დაამატა და პირველი გოლიც შეაგდო.

„ვერდერს" გათანაბრება ნალდოს საჯარიმო გასროლით შეეძლო, მაგრამ იმ ეპიზოდში მხცოვანმა ბალოტამ ივაჟკაცა. როკიმ კი 68-ე წუთზე ჩათვლემილ გერმანელ მცველებს მოხერხებულად აუარა გვერდი და ტაბლოზე 2:0 აანთო.

მატჩის მიწურულს „ლაციოს" მცველმა კრიბარიმ საჯარიმოში მერტესაკერთან წაიჩიდავა და არბიტრმა ივან ბებეკმა ახლა „ვერდერს" მისცა პენალტის უფლება. გოლი დიეგომ გაიტანა.

მატჩის ბოლოს დიეგომ მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და მოედანიც დატოვა. ბრაზილიელი ჯგუფის ლიდერ „რეალთან" მატჩს გამოტოვებს, რაც „მუსიკოსებისთვის" მეტად არასახარბიელო ამბავია...

**ლადო ხომერიკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 4 | 2 | 2 | 0 | 8:5 | 8 |
| ოლიმპიაკოსი | 4 | 1 | 2 | 1 | 6:6 | 5 |
| ლაციო | 4 | 1 | 2 | 1 | 6:6 | 5 |
| ვერდერი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:8 | 3 |

**V ტური, 28 ნოემბერი**
**ვერდერი — რეალი**
**ლაციო — ოლიმპიაკოსი**

# დონეცკში კაკას ბებიას შესცივდა

**D ჯგუფი**

**შახტარი 0:3 მილანი**

0:1 ინძაგი (66), 0:2 კაკა (72), 0:3 ინძაგი (90)
**შახტარი:** პიატოვი, შუბშმანი, ჟადსონი, ილსინიო, ფერნანდინიო, რაცი (უილიამი 73), ჩიგრინსკი, სრნა, იეზერსკი, ბრანდაო (გლადკი 84), ლუკარელი (კასტილიო 77)
**მწვრთნელი:** მირჩა ლუჩესკუ
**მილანი:** დიდა, ბონერა, ნესტა, კალაძე, სერჯინიო (ბროკი 85), გატუზო, პირლო, ამბროზინი, ზეედორფი (მალდინი 79), კაკა, ჯილარდინო (ინძაგი 63)
**მწვრთნელი:** კარლო ანჩელოტი
**გაფრთხილება:** გატუზო, კაკა, ფერნანდინიო, ილსინიო
**მსაჯი:** პიტერ ვინკი (ჰოლანდია)
25 700 მაყურებელი

**ვეტერანმა** ფილიპო ინძაგიმ ჩემპიონთა ლიგაში მორიგი დუბლი გაიფორმა და გერდ მიულერის რეკორდი გაიმეორა — სუპერპიპოს ევროსარბიელზე უკვე 62 გოლი აქვს გატანილი 97 მატჩში და ახლო მომავალში ალბათ ახალ რეკორდსაც დაამყარებს.

შეხვედრა წუთიერი დუმილით დაიწყო, ორშაბათს გარდაცვლილი „მილანის" შვედი ლეგენდის, ნილს ლიდჰოლმის ხსოვნის პატივსაცემად.

ქომაგებით შეგულიანებული „შახტარი" პირველ ტაიმში უკეთ გამოიყურებოდა და ბევრს ცდილობდა, მაგრამ დონეცკელებს რეალური მომენტები, ფაქტობრივად, არ ჰქონიათ.

მეორე ტაიმში კი „მილანის" კლასი და გამოცდილება გამოჩნდა. ალბერტო ჯილარდინოსგან დაღლილმა „როსონერის" თავკაცმა კარლო ანჩელოტიმ 63-ე წუთზე იგი ფილიპო ინძაგით შეცვალა და...

66-ე წუთზე ინძაგიმ ანდრეა პირლოს დიდებული პასით იხეირა. ექვს წუთში კი კაკას უპასა, ვინც ჩინებულად დაარტყა. მატჩის მიწურულს ანდრეი პიატოვთან პირისპირ დარჩენილი ბრაზილიელი გამთამაშებელი ეგოისტურად არ მოიქცა და მშვენიერი საგოლე გადაცემით ვალი დაუბრუნა პიპოს.

„ინძაგი განსაკუთრებული ფეხბურთელია. ბოლო დროს იშვიათად ვთამაშებდი, მაგრამ მაინც თავდაუზოგავად ვარჯიშობს, იგი ყოველთვის მზად არის და საჭირო დროს საჭირო ადგილას ჩნდება. ფილიპო შეუდარებელი გახლდათ. მთლიანად ჩვენი თამაშითაც კმაყოფილი ვარ. თუმც პირველი 65 წუთის მანძილზე „შახტარმა" საკმაო პრობლემები შეგვიქმნა. ეს მოგება ფსიქოლოგიურად გაგვამხნევებს და იმედია, სერია A-შიც სათანადოდ ავთამაშდებით. რაც შეეხება მეორე ადგილისთვის ბრძოლას, ვფიქრობ, „შახტარი" უფრო მაღალი კლასისაა, ვიდრე „სელტიკი". პრობლემა ის არის, რომ გლაზგოში თამაშია ურთულესი, მაგრამ ინდივიდუალური და გუნდური თვალსაზრისით დონეცკელები უფრო ძლიერები არიან" — თქვა ანჩელოტიმ.

კაკა: „ინძაგი ბრწყინვალე გახლდათ. ჯერ მან გამატანინა, მერე კი მე გავატანინე. ერთმანეთს ჩინებულად ვუგებდით. ჩემი მშობლები თითქმის ყველა საგარეო მატჩზე მომყვებიან. „შახტართან" შეხვედრასაც მთელი ოჯახი დაესწრო, ბებიის ჩათვლით, რომელსაც, სამწუხაროდ, ცოტა შესცივდა. სხვა მხრივ, ყველაფერი კარგად იყო.

„მთავარი რეკორდები „მილანთან" ორჯერ მოგებული ჩემპიონთა ლიგა და სხვა ტიტულებია. დანარჩენი მეორეხარისხოვანია. თუმც ჩემი ეს რეკორდი პასუხია იმ ხალხისთვის, რომლებიც ამბობენ, თითქოს ცუდი და გადაბერებული თავდასხმა გვყავს. ჩემი თანაგუნდელებისა და „მილანის" გარეშე ამდენ გოლს ვერასოდეს გავიტანდი" — განაცხადა მატჩის გმირმა ინძაგიმ.

„შახტარის" მწვრთნელი მირჩა ლუჩესკუ: „საწყისი 65 წუთი კარგად ჩავატარეთ. „მილანს" ყველა ზონა ჩავუკეტეთ და სამი-ოთხი მომენტიც შევქმენით. ინძაგის შემოსვლის მერე კი უხეში შეცდომა დავუშვით. დაცვაში სხვაგვარად უნდა გვეთამაშა რაზვან რაციც სხვებთან ერთად წინ უნდა აწეულიყო. ჯგუფიდან გასვლის შანსი არ დაგვიკარგავს და ბოლომდე ვიბრძოლებთ".

**სელტიკი 1:0 ბენფიკა**

1:0 მაკგიდი (45)
**სელტიკი:** ბორუცი, ნეილორი, კოლდუელი, ბრაუნი (სნო 89), ჰარტლი, იაროშიკი (დონატი 66), მაკგიდი, კენედი, მაკდონალდი, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (კილენი 66)
**მწვრთნელი:** გორდონ სტრაჩანი
**ბენფიკა:** კიმი, ლ. ფელიპე, ედკარლოსი, ლუიზაო, ლეო, კაცურანისი, რუი კოშტა (ბერხესიო 77), მ. პერეირა (დი მარია 71), ბინია, კ. როდრიგესი, ო. კარდოზო (ნუნო გომეში 77)
**მწვრთნელი:** ხოსე ანტონიო კამაჩო
**გაფრთხილება:** მ. პერეირა
**გაძევება:** ბინია (85)
**მსაჯი:** მარტინ ჰანსონი (შვედეთი)
58 691 მაყურებელი

შუნსუკე ნაკამურას არყოფნაში „სელტიკის" თავკაცმა გორდონ სტრაჩანმა პლეიმეიკერის როლი აიდენ მაკგიდს ანდო და არც შემცდარა. გლაზგოელებმა 21 წლის ირლანდიელის გოლით მოიპოვეს უმნიშვნელოვანესი გამარჯვება. მან ჩემპიონთა ლიგაში პირველი გოლი პირველი ტაიმის ბოლო წამებზე რიკოშეტით შეაგდო.

შინ ტრადიციულად ძლიერად მოთამაშე გლაზგოელები კი ფლობდნენ გარკვეულ უპირატესობას, მაგრამ დიდს არა და მომენტები სტუმრებსაც ჰქონდათ. მაგალითად, ერთ ეპიზოდში ნეილორმა ედკარლოსის თავურის მერე კარის ხაზიდან გამოიტანა ბურთი. „არწივებმა" შეხვედრა ათი კაცით ჩაამთავრეს, რადგან 85-ე წუთზე აუგუსტინ ბინია ეუხეშა სკოტ ბრაუნს და წითელი დამსახურებულად მიიღო.

გორდონ სტრაჩანი: „პირველ ტაიმში ცუდად ვთამაშობდით. თითქოს ძალაგამოცლილები ვიყავით, ფანტაზია და კომბინაციური თამაში გვაკლდა. ბიჭებს ავუხსენი, რომ ასე გაგრძელება არ შეიძლებოდა და მეორე ნახევარში აშკარად დავჯაბნეთ მეტოქე. მაკგიდი ბრწყინვალე გახლდათ, იგი ძალიან ნიჭიერი, ტექნიკური და ჭკვიანია. იმედია, ასეთ თავდაუზოგავ შრომას და პროგრესს გააგრძელებს".

„ბურთს ვფლობდით, ცუდად არ ვთამაშობდით და მომენტებსაც ვქმნიდით, მაგრამ, სამწუხაროდ, წავაგეთ. თუ „მილანთან" ასე ვითამაშებთ, აუცილებლად მოვიგებთ, მიუხედავად იმისა, რომ ეს ძალიან ძნელი იქნება" — თქვა „ბენფიკას" მწვრთნელმა ხოსე ანტონიო კამაჩომ.

**გიორგი ჭაჭაბაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 4 | 3 | 0 | 1 | 10:4 | 9 |
| შახტარი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:7 | 6 |
| სელტიკი | 4 | 2 | 0 | 2 | 3:4 | 6 |
| ბენფიკა | 4 | 1 | 0 | 3 | 2:4 | 3 |

**V ტური, 28 ნოემბერი**
**ბენფიკა — მილანი**
**სელტიკი — შახტარი**

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ნედვედს ძანეტიც აუმხედრდა



ლუიშ ფიგუს ოპერაცია უკვე გაუკეთეს

| 15031 | ოლბორგი-ანდერლეხტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15032 | კოპენჰაგენი-პანათინაიკოსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15033 | გალათასარაი-ჰელსინგბორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15037 | ავსტრია-ბორდო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15038 | ბოლესლავი -ვილიარეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15040 | რენი-ბრაგა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15042 | დინამო ზ-ბაზელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15043 | ტულუზი-სპარტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15044 | სპარტაკი მ-ლევერკუზენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16026 | ლარისა-ზენიტი | 1.95 | 1.65 |
| 16027 | არისი-ცრვენა ზვეზდა | 1.50 | 2.30 |
| 16028 | ნიურნბერგი-ევერტონი | 1.80 | 1.85 |
| 16029 | ჰაპოელ თა-ტოტენჰემი | 3.60 | 1.24 |
| 16030 | აბერდინი-ლოკომოტივი(მ) | 2.05 | 1.65 |
| 16031 | ოლბორგი-ანდერლეხტი | 1.70 | 1.95 |
| 16032 | კოპენჰაგენი-პანათინაიკოსი | 1.58 | 2.10 |
| 16033 | გალათასარაი-ჰელსინგბორგი | 1.08 | 5.00 |
| 16037 | ავსტრია-ბორდო | 1.82 | 1.82 |
| 16038 | ბოლესლავი -ვილიარეალი | 3.60 | 1.24 |
| 16040 | რენი-ბრაგა | 1.14 | 4.70 |
| 16042 | დინამო ზ-ბაზელი | 1.34 | 2.80 |
| 16043 | ტულუზი-სპარტა | 1.24 | 3.60 |
| 16044 | სპარტაკი მ-ლევერკუზენი | 1.45 | 2.45 |

### გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17024 | ბაიერნი-ბოლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17027 | არისი-ცრვენა ზვეზდა | 1.85 | 1.95 |
| 17028 | ნიურნბერგი-ევერტონი | 1.85 | 1.95 |
| 17029 | ჰაპოელ თა-ტოტენჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17030 | აბერდინი-ლოკომოტივი(მ) | 1.85 | 1.95 |
| 17031 | ოლბორგი-ანდერლეხტი | 1.85 | 1.95 |
| 17032 | კოპენჰაგენი-პანათინაიკოსი | 1.85 | 1.95 |
| 17033 | გალათასარაი-ჰელსინგბორგი | 1.85 | 1.95 |
| 17035 | ფიორენტინა-ელფსბორგი | 1.85 | 1.95 |
| 17037 | ავსტრია-ბორდო | 1.85 | 1.95 |
| 17038 | ბოლესლავი -ვილიარეალი | 1.85 | 1.95 |
| 17040 | რენი-ბრაგა | 1.85 | 1.95 |
| 17042 | დინამო ზ-ბაზელი | 1.85 | 1.95 |
| 17043 | ტულუზი-სპარტა | 1.85 | 1.95 |
| 17044 | სპარტაკი მ-ლევერკუზენი | 1.85 | 1.95 |

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ხარი ბუზად იქცა, კრაზანა სპილოდ



**ზაზა ფაჩულიას** გარეშე მოთამაშე „ატლანტა ჰოქსმა“ დაძაბულ ბრძოლაში დათმო „ნიუ ჯერსი ნეთსთან“ და ახლა სამ თამაშში ორი მარცხი აქვს. „ქორები“ სამი მეოთხედის შემდეგ 12 ქულით აგებდნენ და დასკვნით პერიოდში თითქმის გააბათილეს სხვაობა, მაგრამ საოცრად შემართულ მასპინძლებს გამარჯვება მაინც ვერ აართვეს. მოგებულთა შორის გამორჩეული იყო რიჩი ჯეფერსონი, რომელიც სეზონის საწყის მატჩებში საუკეთესო მექულედ მოევლინა „ნიუ ჯერსის“. ჯეისონ კიდი ერთთავად სამმაგი დუბლის ზღვარზე დადის (მას ახლაც თითო ქულა-მოხსნა დააკლდა მორიგ სამმაგამდე), ვინს კარტერი ჰაერში პლანირებს, აი, რიჩი ჯეფერსონი კი ქულებს იხვეჭს და ამ დღეებში მან რამდენადმე გააფერმკრთალა თავისი გუნდის ორი სუპერვარსკვლავი. „ბადეთა“ შორის საუკეთესო რომ სწორედ ისაა, ამას კარტერიც აღიარებს — „ის ჩვენს შორის მართლაც გამორჩეულია, ოლსტარის დონეზე თამაშობს და ჩვენც ყოველმხრივ შევუწყობთ ხელს, ასე თამაში რომ გააგრძელოს, რაც შეიძლება, დიდხანს.“

საწყისი ოთხი მატჩიდან ჯეფერსონმა საშუალოდ 25,8 ქულა ამოიღო და თავის გუნდს სამის მოგებაში დაეხმარა.

წინა სეზონში სასწაულის მომხდენ „გოლდენ სტეიტს“ კი ნამდვილად არ ულხინს. „მეომრების“ ლიდერი ბაირონ დევისიც ჯეფერსონზე არანაკლები ოდენობით იხვეჭს ქულებს, მაგრამ თავის გუნდს ვერ შველის. სამშაბათსაც, „კლივლენდთან“ შინაურ მატჩში მან 29 ქულას 10 პასიც დაურთო, თვითონაც ითამაშა და გუნდიც ათამაშა, მაგრამ „გოლდენ სტეიტმა“ მეოთხე თამაშიც წააგო და კვლავაც მოგების გარეშეა. ასეთ დროს ჩნდება ბუნებრივი ეჭვი — წინა სეზონში ამ გუნდის წარმატება შემთხვევითობა ხომ არ იყო? ვნახოთ, როგორ მოახერხებს დონ ნელსონი გუნდის გამოყვანას ამ სიტუაციიდან.

კიდევ უფრო გასაოცარია „ჩიკაგო ბულზის“ უხეირო სვლა. სეზონის წინ „ხარები“ საჩემპიონო განცხადებებს აკეთებდნენ, მაგრამ ახლა ისე ცუდად მისდით საქმე, რომ უჯობთ აწმყოს მიხედონ და დროებით მაინც უნდა დაანებონ თავი გასხივოსნებულ მომავალზე ოცნება-ფიქრს. 6 ნოემბერს მათ შინ ვერ მოუგეს საშუალო გაქანების, თანაც ლიდერ ელტონ ბრენდის გარეშე მოთამაშე „კლიპერსს“.

ჰიუსტონში იქაურმა „როკიტსმა“ ჩემპიონ „სან ანტონიო სფურზს“ უმასპინძლა და ახლად დაწყებულ რეგულარულ ჩემპიონატში პირველი მარცხი აგემა. „ჰიუსტონმა“ ერთი დღით ადრე კიდევ ერთ ტეხასურ დერბიში მიიღო მონაწილეობა, როდესაც „დალასს“ ესტუმრა და 9 ქულით წააგო. სამშაბათს კი ეს დანაკარგი „სან ანტონიოსთან“ „ამოიღო“. მაინცდამაინც ციდან ვარსკვლავები არ უწყვეტია მთავარ „რაკეტას“ ტრეისი მაკგრეიდის, რომელიც მხოლოდ 12 ქულით შემოიფარგლა. სამაგიეროდ, მძლავრად გამოვიდა ჩინელი ცენტრი იაო მინი, რომელმაც 28 ქულა, ანუ „სან ანტონიოს“ ლიდერ ტიმ დანკანზე ზუსტად ორჯერ მეტი გააკეთა.

ყველაზე მძლავრ, სამხრეთდასავლეთის დივიზიონში სანამ ტეხასელი ბობოლები — „დალასი“, „სან ანტონიო“, „ჰიუსტონი“ — პირველობისთვის იბრძვიან და ერთმანეთს ამარცხებენ, მომენტით სარგებლობს და დივიზიონში პირველობს ოთხი მატჩიდან ოთხივეს მომგები „ნიუ ორლეანი“. მისისიპელმა „კრაზანებმა“ ამ ჯერზე კობი ბრაიანტის „ლეიკერსი“ დაკბინეს. სერბ ფრთა პრედრაგ სტოიაკოვიჩის ანგარიშზე 36 ქულა მოვიდა, გამთამაშებელმა კრის პოლმა კი „ნიუ ორლეანს“ 19 ქულასთან ერთად 21 პასი (!) მიახმარა.

**ძოტე ყორშია**

### 6 ნოემბერი

**ნიუ ჯერსი 87:82 ატლანტა**
ნიუ ჯერსი: კიდი (9 ქულა, 12 პასი, 9 მოხსნა), კარტერი (12), ჯეფერსონი (25), კრისტიჩი (8), კოლინზი (2); რაიტი (15), ნახბარი (7), არმსტრონგი (5), მაგლორი (2), ალენი (2)
ატლანტა: ლოუ (7), ჯონსონი (15), მ. უილიამსი (13), სმიტი (18), ჰორფორდი (6); ჩილდრესი (18), ლუ (3), ვესტი (2), შ. უილიამსი, ჯონსი
ზაზა ფაჩულიას არ უთამაშია

**გ. სტეიტი 104:108 კლივლენდი**
გოლდენ სტეიტი: დევისი (29 ქულა, 10 პასი), ელისი (22), ჰარინგტონი (19 ქულა, 10 მოხსნა)
კლივლენდი: ჯეიმსი (24 ქულა, 14 მოხსნა, 9 პასი), ილგაუსკასი (22 ქულა, 13 მოხსნა), გიბსონი (22), გუდენი (16)

**ჰიუსტონი 89:81 სან ანტონიო**
ჰიუსტონი: მინი (28 ქულა, 13 მოხსნა, 6 პასი), ველსი (14 ქულა, 15 მოხსნა)
სან ანტონიო: ჯინობილი (23), პარკერი (21), დანკანი (14 ქულა, 10 მოხსნა)

**ნიუ იორკი 119:112 დენვერი**
ნიუ იორკი: კროუფორდი (25), კარი (24), რენდოლფი (22 ქულა, 17 მოხსნა), მარბერი (21)
დენვერი: აივერსონი ((32), ენტონი (29)

**შარლოტი 83:115 ფინიქსი**
შარლოტი: დადლი (16 ქულა, 11 მოხსნა), ვოლესი (12), ფელტონი (12)
ფინიქსი: მერიონი (16 ქულა, 11 მოხსნა), ბარბოსა (16), ბელი (16), დიაუ (15 ქულა, 11 პასი)

**მილუოკი 112:85 ტორონტო**
მილუოკი: მეისონი (21), რედი (17)
ტორონტო: დიქსონი (20), ჰემფრიზი (16)

**მინესოტა 103:111 ორლანდო**
მინესოტა: ჯეფერსონი (25 ქულა, 10 მოხსნა), ბაკნერი (18)
ორლანდო: ჰოვარდი (28 ქულა, 16 მოხსნა), ლუისი (27), აროიო (18)

**ჩიკაგო 91:97 კლიპერსი**
ჩიკაგო: დენგი (28), ჰაინრიხი (18), სმიტი (17), გორდონი (15)
კლიპერსი: მობლი (33), მაგეტი (18 ქულა, 10 მოხსნა), კამანი (16 ქულა, 11 მოხსნა)

**საკრამენტო 104:98 სიეტლი**
საკრამენტო: მარტინი (31), სალმონსი (23), მილერი (16 ქულა, 11 მოხსნა)
სიეტლი: შჩერბიაკი (32) დურანტი (27)

**ლეიკერსი 104:118 ნიუ ორლეანი**
ლეიკერსი: ბრაიანტი (28), ტურიაფი (15)
ნიუ ორლეანი: სტოიაკოვიჩი (36), ვესტი (22), პოლი (19 ქულა, 21 პასი)

| აღმოსავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ბოსტონი | 2 | 0 | 100 |
| ნიუ ჯერსი | 3 | 1 | 75,0 |
| ნიუ იორკი | 2 | 1 | 66,7 |
| ტორონტო | 2 | 2 | 50,0 |
| ფილადელფია | 1 | 2 | 33,3 |
| **ცენტრალური** | | | |
| დეტროიტი | 3 | 0 | 100 |
| ინდიანა | 3 | 0 | 100 |
| მილუოკი | 2 | 2 | 50,0 |
| კლივლენდი | 2 | 2 | 50,0 |
| ჩიკაგო | 0 | 4 | 0 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| ორლანდო | 3 | 1 | 75,0 |
| შარლოტი | 2 | 1 | 66,7 |
| ატლანტა | 1 | 2 | 33,3 |
| ვაშინგტონი | 0 | 3 | 0 |
| მაიამი | 0 | 3 | 0 |

| დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| ნიუ ორლეანი | 4 | 0 | 100 |
| ჰიუსტონი | 4 | 1 | 80,0 |
| დალასი | 3 | 1 | 75,0 |
| სან ანტონიო | 3 | 1 | 75,0 |
| მემფისი | 0 | 2 | 0 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| დენვერი | 2 | 2 | 50,0 |
| იუტა | 2 | 2 | 50,0 |
| პორტლენდი | 0 | 3 | 0 |
| მინესოტა | 0 | 3 | 0 |
| სიეტლი | 0 | 4 | 0 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| კლიპერსი | 3 | 0 | 100 |
| ფინიქსი | 3 | 1 | 75,0 |
| ლეიკერსი | 2 | 2 | 50,0 |
| საკრამენტო | 1 | 3 | 25,0 |
| გოლდენ სტეიტი | 0 | 4 | 0 |

## ულებ-ის თასი. ჯგუფური ეტაპი. I ტური

**A ჯგუფი**
შაულიაი (ლიტვა) 90:97 ტელეკომი (თურქეთი)
ბოსნა (ბოსნია) 84:68 გილდფორდი (დიდი ბრიტანეთი)
ხუვენტუდი (ესპანეთი) 79:67 ალბა (გერმანია)

**B ჯგუფი**
FMP (სერბეთი) 89:79 ოვარენსე (პორტუგალია)
ვენტსპილსი (ლატვია) 79:87 ბეშიქთაში (თურქეთი)
კიოლნი (გერმანია) 94:84 შალონი (საფრანგეთი)

**C ჯგუფი**
გალათასარაი (თურქეთი) 71:69 ხირონა (ესპანეთი)
ჰემოფარმი (სერბეთი) 73:71 შარლერუა (ბელგია)
ასოფტი (რუმინეთი) 80:79 ჰანზევასტი (ჰოლანდია)

**D ჯგუფი**
ხიმკი (რუსეთი) 90:81 ნანსი (საფრანგეთი)
ანვილი (პოლონეთი) 66:70 აზოვმაში (უკრაინა)
პამესა (ესპანეთი) — სკაილაინერზი (გერმანია) გვიან დამთავრდა

**E ჯგუფი**
ელიონი (ისრაელი) 74:79 სვანსი (შვედეთი)
ბუდუჩნოსტი (ჩერნოგორია) 66:75 ტრიუმფი (რუსეთი)
ფრაიბურგი (გერმანია) 106:102 ანტვერპენი (ბელგია)

**F ჯგუფი**
პანელინიოსი (საბერძნეთი) 84:77 ოსტენდე (ბელგია)
ნიბრუკი (ავსტრია) 87:74 ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)
დინამო (რუსეთი) 91:66 ბოლონია (იტალია)

**G ჯგუფი**
კალევი (ესტონეთი) 81:68 პანიონიოსი (საბერძნეთი)
შლიონსკი (პოლონეთი) 71:63 კანარიასი (ესპანეთი)
ლუდვიგსბურგი (გერმანია) 72:90 ასველი (საფრანგეთი)

**H ჯგუფი**
ასკ რიგა (ლატვია) 77:58 აკადემიკი (ბულგარეთი)
არტლენდი (გერმანია) 85:74 პო ორტეზი (საფრანგეთი)
ბენეტონი (იტალია) 73:77 ბკ კიევი (უკრაინა)

**I ჯგუფი**
უნიქსი (რუსეთი) 90:87 ზადარი (ხორვატია)
ჰაპოელი (ისრაელი) 74:73 სტრასბური (საფრანგეთი)
ტუროვი (პოლონეთი) 80:65 ეიფელ თაუერსი (ჰოლანდია)

# დეჟავიუ

## მარკოიშვილმა ბენეტონი ულებ-ის თასზე გაიხსენა



**ევროლიგის** შვილობილმა ტურნირმა, ულებ-ის თასმა, გუშინწინ გახსნა ახალი სეზონი და ამ გრანდიოზულ შეჯიბრში ერთადერთი ქართველი მონაწილეობს — ამ სეზონის წინ „ბკ კიევში“ გადასული მანუჩარ მარკოიშვილი.

ქართველი უკანახაზელისთვის ეს ტურნირი სადებიუტოა. აქამდე მარკოიშვილი ევროლიგაში თამაშობდა და ლიუბლიანის „ოლიმპიას“ ღირსებას იცავდა. ახლა მას თავისი ენერგიისა და ნიჭის დახარჯვა კიევური გუნდისთვის მოუწევს, რომელიც არ გვგონია, მანუჩარის აქამდელ გუნდზე ნაკლები იყოს.

კიეველებმა ულებ-ის თასზე თამაში ხმაურიანად დაიწყეს. პირველი ტურის ყველაზე დიდი მოულოდნელობა სწორედ ამ მატჩში მოხდა — „ბკ კიევმა“ ტრევიზოში იტალიური კალათბურთის ერთ-ერთი გრანდი, „ბენეტონი“ დაამარცხა. ბედის ირონიასავით იყო, რომ მარკოიშვილის სამტურნირო დებიუტი სწორედ იმ გუნდთან მოხდა, რომელშიც მისი ევროპული კარიერა დაიწყო.

2002 წელს 16 წლის მარკოიშვილი ბათუმის „ბასკოდან“ იტალიურ „ბენეტონში“ გადავიდა და აქედან დაიწყო მისი ევროპული მოგზაურობა. ყველაზე საამაყო ტიტულები მანუჩარმა სწორედ „ბენეტონში“ მოიხვეჭა და ამ კლუბთან ტკბილი მოგონებებიც აკავშირებს. გუშინწინ კი მას თავის ძველ გუნდთან მოუხდა ბრძოლა და ამ დაპირისპირებიდან გამარჯვებული გამოვიდა.

მარკოიშვილმა მოედანზე 19 წუთი გაატარა და 3 საშუალო სროლიდან 2, ხოლო ორი საჯარიმოდან ორივე ჩააგდო. 6 ქულასთან ერთად მან 2 პასიც მიითვალა და ტრევიზოელთა დამარცხებაში თავისი წილი დაიდო.

„მე ვულოცავ კიეველთა ყველა გულშემატკივარს ამ უდიდეს გამარჯვებას. ეს იყო ისტორიული მატჩი, რადგან „ბკ კიევი“ ულებ-ის თასზე პირველად მონაწილეობს და თანაც ასეთი ძლიერი მეტოქე დავამარცხეთ — თქვა ნამატჩევს უკრაინული გუნდის სლოვენიელმა თავკაცმა ტომო მაჰორიჩმა — ჩვენი წარმატების მიზეზი ისაა, რომ მეტოქის მეფარეებს გასაქანი არ მივეცით. ახლა ჩვენ უფრო მეტი სერიოზულობა გვმართებს, რადგან ყველა მეტოქე მთელი ძალებით შეგვებრძოლება“.

**ირაკლი პერტაია**

საქართველოს ნაკრების თამაშების მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

# ბიძინა სამხარაძე: სეზონი გამარჯვებით უნდა დავასრულოთ



ამ შაბათს სეზონის ბოლო მატჩში საქართველოს ნაკრები მასსავით ნამსოფლიოსთასარ პორტუგალიას უმასპინძლებს და, თქმა არ უნდა, ცდას არ დააკლებს, რომ სტუმარი თბილისიდან ნაგებული გაისტუმროს. მატჩი ევროპის ერთა თასის გამოტოვებული ტურისაა და წესით, ივნისში უნდა გამართულიყო, მაგრამ მეტოქეებმა მოილაპარაკეს და საამშაბათოდ გადმოდეს. ამ მიზეზით და რაგბის საერთაშორისო საბჭოს ახლადმიღებული კანონის გამო ფრანგულმა კლუბებმა ჩვენი ნაკრების წევრები არ გაათავისუფლეს, რაკი საერთაშორისო კალენდრის „ფანჯარაში" არ ჩაჯდა. სანაკრებოდ ვერ გათავისუფლდნენ გოდერძი შველიძე, აქვსენტი გიორგაძე, დავით ზერაქაშვილი და ირაკლი მაჩხანელი. ტრავმირებულები არიან მალხაზ ურჯუკაშვილი და მამუკა გორგოძე, ხოლო ნაკრებიდან წავიდნენ ვალმოხდილი ვეტერანები გია ლაბაძე, ილია ზედგინიძე, ვიქტორ დიდებულიძე და ზურაბ მჭედლიშვილი. ასე რომ, ჩვენი „ლელოები" პორტუგალიელი „მგლების" დასახვედრად გვარიანად გადახალისებული რაზმით ემზადებიან, გუშინ კი სულაც სალამოს ვარჯიში გაუცდათ. ეს ამბავი ჩვენების შერკინების გამთამაშებელმა ბიძინა სამხარაძემ გვითხრა, გუშინ ინტერვიუსთვის რომ შევეხმიანეთ

— დღეს დილით ვარჯიში კი მოვასწარით, მაგრამ სალამოს ვარჯიში ჩაგვეშალა, ოღონდ ქვეყანაში მომხდარი არეულობა არაფერ შუაშია. უამინდობის გამო „შევარდენის" სტადიონზე ვარჯიში შეუძლებელი გახდა.

**— მსოფლიოს თასის შემდეგ ეს თქვენი პირველი მატჩია, ისევე როგორც პორტუგალიისთვის. გუნდი მოდუნებული ხომ არაა?**

— არა, პირიქით, საოცრად მობილიზებულები ვართ, არადა ისეთი მომენტია, თუ ვერ მოვიგეთ, ხალხს ძალიან გავაწბილებთ. თანაც ამ ხალხს კიდევ გაწბილება უნდა? შაბათს აუცილებლად უნდა მოვიგოთ და ხალხის მხარდაჭერა ამ გამარჯვებით გამოვხატოთ.

**— გუნდი საკმაოდ გადახალისებულია. ბევრი ისეთი მორაგბეა, სანაკრებო გაფართოებულ შეკრებაზეც რომ არ ყოფილა. ამ მცირე დროში მოასწრებთ შეთამაშებას?**

— დრო მართლაც მცირეა, მაგრამ, ვფიქრობ, რალაც დონეზე შეთამაშებას, კომბინაციების დახვეწას მაინც მოვასწრებთ.

**— მაგრამ ეს საკმარისი იქნება პორტუგალიის დასამარცხებლად? თანაც მეტოქე აღარ არის იოლად წასაქცევი გუნდი, რაც ამ მსოფლიოს თასზეც დაამტკიცა.**

— პორტუგალიამ მართლაც მაგრად მოუმატა და ძლიერ გუნდად ჩამოყალიბდა. არც ჩვენნაირი საკადრო პრობლემები აწუხებს. იოლი მატჩი მართლაც არ იქნება, პირიქით, ძალიან მძიმე ბრძოლა გველის, რომელიც აუცილებლად უნდა მოვიგოთ.

**— პორტუგალიას კარგად გამოსდის კომბინაციური რაგბი და ხელდახელ თამაში. ამის საპრისპიროდ ჩვენმა შერკინებამ უნდა იმუშავოს, მეტოქეს მიაწვეს და ბურთზე კონტროლი მოუსპოს, მაგრამ სწორედ შერკინებაში გაკლიათ გამოცდილი მორაგბეები...**

— ამისი მართლაც გვეშინია... შერკინება, შეიძლება ითქვას, მთლიანად გადახალისებულია და უმეტესად ახალბედები გვყავს. ყველამ უნდა მოვინდომოთ და მეტოქეს გასაქანი არ მივცეთ. დარწმუნებული ვარ, ბიჭები თავს არ დაზოგავენ და მშვენიერ სეზონს გამარჯვებით დავასრულებთ.

**ბაჩო სვანიძე**

კრივი

# თებერვალი, აპრილი...

## ლიცენზიების ბოლო შანსები და კუპატაძის შანსი



**საქართველოს მოკრივეთა ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატიდან უმედლოდ დაბრუნდა. ჩიკაგოში ჩატარებული ტურნირის დამატებითი დატვირთვა პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიების გათამაშება იყო და ჩინეთის საგზური ოთხმოცმა კაცმა მიიღო, მაგრამ ქართველებმა ვერც ამ სიაში შეძლეს მოხვედრა. ამერიკულ წარუმატებლობაზე, ნაკრების სამომავლო გეგმებსა და სალიცენზიო შანსებზე სასაუბროდ მთავარ მწვრთნელ თენგიზ მესხაძეს ჩიკაგოდან დაბრუნებისთანავე შევეხმიანეთ**

**— ტურნირის დაწყებამდე იფიქრებდით ასეთ ცუდ შედეგს?**

— ჯერ კიდევ ჩიკაგოში გამგზავრებამდე მიცემულ ერთ ინტერვიუში ვთქვი, ცხრაკაციან გუნდში ხუთი-ექვსია ისეთი, ვისგანაც წარმატებას ველი-მეთქი. ეს არ ნიშნავდა იმას, თითქოს ხუთ-ექვს ლიცენზიას ვგეგმავდი. პეკინის ერთი საგზურიც რომ მოგვეპოვებინა, ამითაც კმაყოფილები უნდა დავრჩენილიყავით. მსოფლიოს ჩემპიონატის მოსამზადებელი ციკლი ისე ვერ განვითარდა, როგორც საქმე მოითხოვდა და ამას ბევრი მიზეზი აქვს. უმთავრესი ისაა, რომ ბოლო პერიოდში ნაკრების მწვრთნელი სამჯერ შეიცვალა. მე გუნდი ბოლოსწინა შეკრებაზე ჩავიბარე, მას შემდეგ, რაც ავთო შოშიაშვილმა ჯანმრთელობის გაუარესების გამო მუშაობის გაგრძელება ვერ შეძლო. დაუგეგმავმა პროცესებმა, რა თქმა უნდა, ბიჭებზეც იმოქმედა. მზადების პროცესი ისე უნდა განვითარებულიყო, რომ მოკრივეებს ფორმის პიკისთვის დასკვნით ეტაპზე მიეღწიათ, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ოდნავ ადრე მოხდა. ბიჭების შემართება, როგორც ყოველთვის, სამაგალითო იყო, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არაა.

**— ლიცენზიამდე სამ კაცს თითო მოგება დააკლდა...**

— განსაკუთრებით კარგი შანსი ლევან ღვამიჩავას ჰქონდა. სამი რაუნდის შემდეგ ხუთქულიან უპირატესობას ფლობდა, მაგრამ... ეს იყო ტრაგედია, რომელშიც დიდი წვლილი მსაჯებსაც მიუძღვით. ბოლო რაუნდში იაპონელ კავაჩის იმხელა უპირატესობა ნამდვილად არ ჰქონდა, რომ ჩამორჩენა აღმოფხვრა. ამაში ვიდეოფირის ნახვის შემდეგ კიდევ უფრო დავრწმუნდი.

**— ამავე მიზეზით სხვაც ხომ არ დაისაჯა?**

— არა. მსაჯობაზე სხვამხრივ აუგს ვერ ვიტყვი. ამ დონის ტურნირებზე უსამართლობა ყოველთვის არის ხოლმე, მაგრამ ჩიკაგოში წინა მსოფლიოს ჩემპიონატთან და ევროპის ჩემპიონატებთან შედარებით ბევრად კორექტული მსაჯობა იყო.

**— ზვიად ხადურის და დავით წიკლაურის დაკარგულ სალიცენზიო შანსზე რას იტყვით?**

— მათ ალალად წააგეს. წიკლაური რუს მსოფლიოს ჩემპიონთან დამარცხდა, მაგრამ საკმაოდ კარგად იბრძოლა, რაც თავად რუსებსაც კი გაუკვირდათ. რომ არა ასეთი მეტოქე, ეგებ დათოს ლიცენზიაც აეღო...

**— საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი მთავარი იმედი, კახა ქვანია, პირველსავე წრეში დამარცხდა...**

— ამ შემთხვევაშიც უიღბლო კენჭისყრამ დაგვაზარალა. კახა თავიდანვე ამერიკელ ანდრადეს შეხვდა, რამაც, სამწუხაროდ, ფსიქოლოგიური პრობლემა შეუქმნა. პირველი ორი რაუნდი ისე შეიბოჭა, თავისი შესაძლებლობების ერთი პროცენტიც კი ვერ გამოავლინა. ამიტომაც იყო, ანგარიშში საგრძნობლად რომ ჩამორჩა, ხოლო როცა ზეწოლა მოეხსნა, სხვაობის შემცირება დაიწყო, მაგრამ დრო აღარ ეყო. ცნობისთვის, ანდრადე მსოფლიოს ჩემპიონი გახდა და დანარჩენი ბრძოლები ისე მოიგო, ქვანიას მსგავსი წინააღმდეგობა მისთვის არავის გაუწევია. უიღბლო კენჭისყრამ დაალალატა გიორგი ნაკანიც, რომელმაც პირველსავე წრეში ყაზახ ოლიმპიურ ჩემპიონთან წააგო.

**— წინ რამდენი სალიცენზიო ტურნირია დარჩენილი?**

— ორი. თებერვალში იტალიაში და აპრილში — საბერძნეთში.

**— ლიცენზიის მოსაპოვებლად რა შედეგი იქნება საჭირო?**

— ფინალში გასვლა, თუმც შესაძლოა, ზოგიერთ წონაში სამეულიც საკმარისი აღმოჩნდეს. საერთაშორისო ასოციაცია ზუსტ პასუხს უახლოეს მომავალში შეგვატყობინებს.

**— ნაკრების შემადგენლობაში ცვლილებები ხომ არ მოხდება?**

— იტალიის საერთაშორისო ტურნირზე ალბათ ერთადერთ წონას შევცვლი. 60 კილოგრამში ამჯერად შანსს კონსტანტინე კუპატაძეს მივცემ. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე იგი ნაკრებთან ერთად ემზადებოდა და საკმაოდ კარგ ფორმაშია.

**— დარჩენილ ორ ტურნირზე რამდენ ლიცენზიას გეგმავთ?**

— ამაზე ახლა საუბარი ძალიან ძნელია. ჩიკაგოდან დაბრუნების შემდეგ ბიჭებს ადაპტაციისთვის ათი დღე მივეცი. მერე შევიკრიბებით და გეგმაზომიერ მუშაობას შევუდგებით.

**ოთარ ბაღლაძელიძე**

# რუსუდან ხოფერია: კანადა კარგი იყო, თუმც მეტი შეგვეძლო

**ახლახან კანადის ქალაქ კვებეკში დამთავრებულ მსოფლიო ჩემპიონატზე ქართველი ბატუტისტების გამოსვლის შესახებ, უკვე გეცოდინებათ. 17 წლის ლუბა გოლოვინამ უდიდესი კონკურენციის პირობებში შესანიშნავად იასპარეზა და მე-20 ადგილი ირგუნა, რაც საკმარისი აღმოჩნდა საპეკინო ლიცენზიის მოსაპოვებლად. დანარჩენი ხუთი სპორტსმენიდან ლიცენზიის მოპოვება ვერავინ ვერ შეძლო, თუმცა მათგან ამის გაკეთებას ნაკლებად თუ ვინმე ითხოვდა. ერთადერთი, თენგიზ კოშკაძე იყო, რომელზეც დიდ იმედებს ამყარებდნენ და პეკინში წამსვლელთა შორის მოიაზრებდნენ, მაგრამ ისე მოხდა, რომ მეორე ვარჯიშის დროს ხელი მოეცარა და ბატუტიდან გადმოვარდა. კანადური მსოფლიო ჩემპიონატი ჩვენთვის იმითაც იყო გამოსარჩევი, რომ იქ ქართველმა იმსაჯა. ტანვარჯიშის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა რუსუდან ხოფერიამ კანადაში მსაჯის მოვალეობაც შეასრულა. რუსუდან ხოფერიას გუშინ დავუკავშირდით და კანადური ამბების გარდა სამომავლო გეგმებზეც ვესაუბრეთ**



— სიმართლე გითხრათ, ერთი ლიცენზიის მოპოვება თავიდანვე გვქონდა დაგეგმილი. ბუნებრივია, ლუბა გოლოვინას იმედი გვქონდა. თუმცა მაინც ვნერვიულობდით, რადგან ეს ისეთი სპეციფიკური სპორტის სახეობაა, რომ ნებისმიერ მომენტში შეიძლება ხელი მოგეცაროს. მაგრამ ლუბას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ფსიქოლოგიურ ზეწოლას მშვენივრად გაუძლო და პეკინის საგზური მოგვიტანა, მისგან ხომ ყველა ლიცენზიას ელოდა.

დიდწილად სწორედ გაუმართლებლობის ბრალი იყო, რომ თენგიზ კოშკაძემ ლიცენზია ვერ მოიპოვა, არადა, პირველი ვარჯიში კარგად შეასრულა, მაღალი ქულები აიღო და ჩვენც იმედი გაგვიჩინა. მეორე ვარჯიშზე კი ბატუტიდან გადმოვარდა და მსაჯებმა შეფასება აღარ მისცეს...

მართლა დასანანია, რომ ასე მოხდა, ეს ბიჭი ძალიან პერსპექტიულია და მისგან მეტს ველოდით. სამწუხაროდ, კოშკაძეს იღბალმა ზურგი აქცია.

რაც შეეხება დანარჩენ სპორტსმენებს, მათგან ამ ეტაპზე რაიმე განსაკუთრებულს არ ველოდით. ჯერ ძალიან პატარები არიან. უბრალოდ, მათ დიდი გამოცდილება მიიღეს. საერთოდაც, გოგონებშიც და ბიჭებშიც ერთ-ერთი ახალგაზრდული ნაკრები გვყავდა. გამოცდილი ხალხი ვინც იყო, ყველა საზღვარგარეთ წავიდა. ახლა თავიდან გვიწევს გუნდის აღორძინება, პატარების გაზრდა...

**— კანადაში მსაჯობაც მოგიხდათ, ამაზე რას გვეტყვით და საერთოდ, როგორ შეფასებას მისცემთ განვლილ ჩემპიონატს?**

— ვიმსაჯე, მაგრამ სინქრონულ სახეობაში, რადგან ასეთი წესია, ტურნირის წინ კენჭისყრა იმართება, ვის სად მოუწევს მსაჯობა. ისე მოხდა, რომ ინდივიდუალური გამოსვლები არ შემხვდა და სინქრონული ვიმსაჯე. არ შემიძლია, რუს კოლეგაზე არ ვთქვა, ვინც ლუბას საშინლად დაბალი ქულა დაუწერა. მერე ჩვენ გავაპროტესტეთ და საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენლებიც გაოცდნენ, რადგან მისი შეფასება სხვა მსაჯებისაგან ექვსი მეათედით განსხვავდებოდა. შემდეგ მეც ასევე მოვექეცი რუს სპორტსმენებს სინქრონულში, რაც არ მოეწონათ.

რაც შეეხება ჩემპიონატის ორგანიზაციულ მხარეს, ამ მხრივაც ძალიან უკმაყოფილო ვართ. 7 საათი მარტო აეროპორტში შეგვაყოვნეს, არ დაგვხვდნენ, მერე სურათში [illegible], როცა ორჯერ [illegible]-ლი. მარტო ჩვენ კი არა, სხვა ქვეყნებიც წუხდნენ ტექნიკურ პრობლემებზე.

**— ლუბას მომზადება განსხვავებული პროგრამით ხომ არ მოხდება, მისგან ოლიმპიადაზე რას უნდა ველოდოთ?**

— აუცილებლად სპეციალური პროგრამით ივარჯიშებს. ის ვარჯიშები, რაც მსოფლიო პირველობაზე გამოიყენა, უნდა შეიცვალოს. კანადაში წასვლამდე ეს ვერ გავრისკეთ, თუმცა საოლიმპიადოთ მოგვიწევს. ამ ეტაპზე იმის განსაზღვრა, რომელი ადგილისთვის ვიბრძოლებთ, ძალიან რთულია. 8-9 ბატუტისტია ისეთი, რომ მედლისთვის იბრძოლებს. უპირობო ფავორიტი კი რუსი ირინა კარავაევაა, ვინც დღესდღეობით ყველაზე ძლიერი სპორტსმენია, მან თუ იღეთი შეასრულა, აუცილებლად ჩემპიონი გახდება. ჩვენ ლუბას ალბათ ფინალში გასვლას დავუსახავთ მიზნად, ყოველ შემთხვევაში, ამისათვის არაფერს დავიშურებთ — ბევრი რამე იღბალზე და ფსიქოლოგიურ მზადყოფნაზე იქნება დამოკიდებული. ვნახოთ, მანამდე ჯერ კიდევ ბევრი დროა და მაქსიმალურად კარგად უნდა გამოვიყენოთ.

**ლევან მაისურაძე**



# ბელფასტური თასის მაძიებლები

**ბელფასტში** სეზონის მესამე სარეიტინგო ტურნირი, „ჩრდილოეთ ირლანდიის თასი“ გახურდა, რომელშიც 48 საუკეთესო სნუკერისტი ჩაერთო.

ბილიარდის ყველაზე ლამაზი და ეშხიანი სახეობის ოსტატებმა 2007-08 წლების სეზონში უკვე ორი სარეიტინგო ტურნირი მოილიეს ჩინეთსა და შოტლანდიაში და ახლა ჩრდილოირლანდიური შეჯიბრის ჯერია.

ბელფასტში პირველ ნომრად ტურნირის შარშანდელი გამარჯვებული, ჩინელი დინ ჯუნხუ განთესეს და ახალგაზრდა აზიელმაც წარმატებით დაიწყო ტიტულის დაცვა — ინგლისელ ჯო პერის 5:2 მოუგო.

ჯუნხუ ისევე როგორც სხვა თხუთმეტი განთესილი, შეჯიბრში მეორე წრიდან ჩაება და უკვე მერვედფინალშია, სადაც გამოცდილ შოტლანდიელ სტივ მაგუაირს შეხვდება, რომელმაც, თავის მხრივ, 5:0 გაანადგურა ინგლისელი დევიდ გრეი.

წარმატებით აიღეს სტარტი მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა, ინგლისელმა სტივ დევისმა და ექსჩემპიონებმა, ირლანდიელმა კენ დოჰერტიმ და ინგლისელმა პიტერ ებდონმა. დევისმა, ვინც ტურნირის უხუცესი მონაწილეა, 5:3 სძლია ირლანდიელ ჯო სვეილს, ებდონმა 5:2 მოუგო თავის თანამემამულე ედრიან განელს, ხოლო დოჰერტიმ მშრალი ანგარიშით, 5:0 დასცა კიდევ ერთი ინგლისელი მარკ კინგი.

ფავორიტებიდან ეგრევე დამარცხდნენ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, შოტლანდიელი გრემ დოტი და ინგლისელი სტივენ ლი. დოტმა 3:5 წააგო ჩრდილოირლანდიელ მარკ ალენთან, რომელმაც მშობლიური პუბლიკის თვალწინ მშვენიერი თამაში აჩვენა, ხოლო ლი მძაფრ ბრძოლაში 5:4 დასცა ინგლისელმა აიან მაკალოჰმა.

დიდ ინტერესს იწვევდა ავსტრალიელი ნილ რობერტსონისა და ინგლისელი ჯეიმი კოუპის შეხვედრა, მაგრამ ეს ინტერესი არ გამართლდა — წინა სეზონში ორი სარეიტინგო ტურნირის მომგებმა ოზმა ბრიტანელი იოლად — 5:1 დაამარცხა.

გუშინ შეჯიბრში მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი, შოტლანდიელი ჯონ ჰიგინსი და მსოფლიოს ექსჩემპიონები, უელსელი მარკ უილიამსი, ინგლისელები რონი ოსალივანი და შონ მერფი და შოტლანდიელი სტივ ჰენდრი ჩაებმებოდნენ, ტურნირი კი კვირის ბოლომდე გაგრძელდება და გამარჯვებულის ვინაობას 11 ნოემბერს შევიტყობთ.



დინ ჯუნ ხუ



**ევროპის გუნდური ჩემპიონატი. კრეტა. საბერძნეთი. 27 ოქტომბერი — 7 ნოემბერი**

# კრეტაში ქალიც და კაციც რუსია

**საქართველოს** კაცთა ნაკრებმა ჩემპიონატი წარუმატებლად, მე-13 ადგილზე ჩაამთავრა. ჩვენებმა 10 ქულა დააგროვეს და ჩემპიონ რუსებს 7 ქულით ჩამორჩნენ.

ბოლო მეცხრე ტურში ქართველებმა იტალია დაამარცხეს 3:1 და ცხრილში ოთხი საფეხურით აიწიეს. პირველ დაფაზე ბადურ ჯობავამ თეთრებით მიშელ გოდენა შემუსრა, ხოლო მესამეზე მოთამაშე ლევან ფანცულაიამ — საბინო ბრუნელო.

დარჩენილი ორი შეხვედრა ყაიმით დასრულდა. მეორე დაფაზე თამაზ გელაშვილი ფაბიანო კარუანას დაუზავდა, მეოთხეზე კი დავით არუთინიანი — კარლო დამორს.

ჩემპიონობა ერთი ტურით ადრე რუსეთმა გაინაღდა, მეორე - მესამე ადგილები კი სომხეთმა და აზერბაიჯანმა ძმურად გაიყვეს.

ქალებშიც ყველას რუსეთმა აჯობა. მათ 15 ქულა აიღეს და მეორეზე გასულ პოლონეთს 2 ქულით გაუსწრეს. ამდენივე დააგროვა სომხეთმა, თუმც პირადული მაჩვენებლებით ჩამორჩა პოლონელებს და საბოლოოდ მესამეზე გავიდა.

ჩვენმა ქალებმა კი ბოლო ტურში სომხებს გაუყვეს ქულები და მათთვის შეუფერებელ მეხუთე ადგილს დასჯერდნენ. პირველ დაფაზე მაია ჩიბურდანიძე შავებით ელინა დანიელიანს დაუზავდა, მეორეზე კი ლელა ჯავახიშვილი თეთრებით ლილიტ მკრტჩიანს. მესამე დაფაზე ნინო ხურციძემ შავებით ნელი აგინი-



ანთან წააგო, მეოთხეზე კი ნანა ძაგნიძემ თეთრებით სირანუშ ანდრიასიანი დაამარცხა და გუნდიც წაგებას გადაარჩინა.

**ლაშა გეგეჭკორი**

| | | |
|---|---|---|
| **კაცები** | | |
| 1. რუსეთი | 17 | (25) |
| 2. სომხეთი | 14 | (21,5) |
| 3. აზერბაიჯანი | 13 | (20,5) |
| 4. პოლონეთი | 12 | (21,5) |
| 5. უკრაინა | 12 | (21) |
| 13. **საქართველო** | 10 | (21,5) |
| **ქალები** | | |
| 1. რუსეთი | 15 | (25) |
| 2. პოლონეთი | 13 | (23,5) |
| 3. სომხეთი | 13 | (21) |
| 4. უკრაინა | 12 | (22,5) |
| 5. **საქართველო** | 12 | (22,5) |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაშამ მხარი გაშალა



მარია შარაპოვა

**WTA TOUR-ის ჩემპიონატი**
**მადრიდი, ესპანეთი**
**ჰარდი (დარბაზი)**
**საპრიზო 3 000 000 $**

### წითელი ჯგუფი

**ანა ივანოვიჩი** (4, სერბეთი) — სვეტლანა კუზნეცოვა (2, რუსეთი) 6:1 4:6 7:5
**მარია შარაპოვა** (6, რუსეთი) — დანიელა ჰანტუხოვა (8, სლოვაკეთი) 6:4 7:5

„აქ, კორტზე სასეირნოდ არ ჩამოვსულვარ. თუ ვინმე ფიქრობდა, რომ მხოლოდ ხალხს დავენახვებოდი, მერე ყველას ხელს დავუქნევდი და აქედან მალე წავიდოდი, ძალიან ცდებოდა. აქ ყველა ქულისთვის, გათამაშებისთვის საბრძოლველად ჩამოვედი და მხოლოდ გამარჯვებაზე ვფიქრობ" — ამაყად საუბრობდა მარია შარაპოვა წლის შემაჯამებელი ტურნირის ჯგუფურ ეტაპზე პირველი მატჩის მოგების შემდეგ.

რუსი პრიმა ასეთ დიდ გულზე იმიტომ იყო, რომ აგვისტოს შემდეგ პირველ შეხვედრაში იმარჯვა — მაშინ აშშ-ს ღია პირველობის მეორე წრეში კეისი დელაკუას მოუგო და მას შემდეგ გამარჯვების გემო არ გაესინჯა. მაშას ისევ და ისევ ყბადაღებული მხრის ტრავმა აწუხებდა და ამიტომ კორტსაც არ გაკარებია. მაგრამ ჩანს, ახლა კარგად გრძნობს თავს, რადგანაც დანიელა ჰანტუხოვას ძალიან დამაჯერებლად გაუსწორდა. სლოვაკმა მხოლოდ მეორე სეტში შეძლო თანაბრად ბრძოლა და კინაღამ ტაიბრეიკამდე მიიყვანა საქმე, მაგრამ შარაპოვამ საჩოგბურთო ლატარიამდე მისვლა არ ინდომა და ჯგუფიდან გასავლელად პირველი ნაბიჯი გადადგა.

ანა ივანოვიჩმა კი თავის მე-20 დაბადების დღეზე მშვენიერი საჩუქარი უძღვნა თავს, როცა წითელი ჯგუფის ფავორიტად მიჩნეულ სვეტლანა კუზნეცოვას საკმაოდ მძიმე ბრძოლაში გაუმკლავდა.

სერბმა ლამაზმანმა შეხვედრა დიდებულად დაიწყო და თავიდან მეტოქე სრულიად უშანსოდ დატოვა, რაც პირველი სეტის შედეგზეც აისახა, როცა კუზნეცოვას მხოლოდ გეიმი აალებინა. ივანოვიჩმა მეორე პარტიაც ისე დაიწყო, თითქოს პირველი არც დამთავრებულიყოს — 3:0 დაწინაურდა და რუსი თითქოს წელშიც გატეხა. მაგრამ აქ კუზნეცოვამ ის თამაში აჩვენა, რამაც სეზონი რეიტინგში მეორე პოზიციაზე დაამთავრებინა. რუსმა მომდევნო შვიდი გეიმიდან ექვსი მოიგო და სეტებში ანგარიშიც გაათანაბრა.

გადამწყვეტი პარტია უკეთესად ისევ ივანოვიჩმა დაიწყო, თუმც რუსმა ანგარიში მალევე გააყაიმა და თამაში ქულა ქულაში წავიდა. მატჩის ბედი ბოლო გეიმებში გადაწყდა, როცა ჯერ ივანოვიჩმა ბრეიკ პოინტები გაანეიტრალა, მერე კი მეტოქის მოწოდება აიღო და პირველი გამარჯვებაც იზეიმა.

### ყვითელი ჯგუფი

**ჟუსტინ ენინი** (1, ბელგია) — ანა ჩაკვეტაძე (5, რუსეთი) 6:1 7:6

პრობლემები არ შექმნია ტურნირის მოქმედ ჩემპიონ ჟუსტინ ენინს. ანა ჩაკვეტაძე ამ დონის ტურნირზე პირველად თამაშობს და თავიდან მაგრადაც ნერვიულობდა, რის გამოც ბელგიელს პირველ სეტში ცალკეული და იშვიათი გათამაშებების გარდა, ღირებული ვერაფერი დაუპირისპირა. თუმც ქართული წარმოშობის რუსმა მეჩოგნემ მთლად უნებისყოფოდ წაგებაც არ ისურვა და მეორე პარტიაში საკმაოდ თანაბრად ეომა თანამედროვეობის უდავოდ ნომერ პირველ ჩოგანს, თუმც ტაიბრეიკზე კლასმა მაინც თავისი ქნა და ენინიც ჯგუფის ლიდერად აქცია.

**ბაჩა ლომჯაშვილი**



ანა ივანოვიჩმა მე-20 დაბადების დღე გამარჯვებით აღნიშნა

# იღბლიანი ყაველაშვილი

**ბელარუსის** დედაქალაქ მინსკში, სადაც ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით ქალთა 50-ათასიანი შეჯიბრი გრძელდება, ძირითად ბადეში სამი ქართველი იყო და მეორე წრეში მხოლოდ ერთი, თინა ყაველაშვილი გავიდა.

არადა, ყაველაშვილი კვალიფიკაციის ბოლო წრეში 16 წლისა და ურეიტინგო ბელარუს ვიქტორია ემელიანოვასთან 3:6 4:6 დამარცხდა, მაგრამ შემდეგ ერთ-ერთი მონაწილე ტურნირიდან მოეხსნა და ყაველაშვილი, როგორც „იღბლიანი წაგებული" ძირითად ბადეში მოხვდა და შეჯიბრზე „ვაილდ ქარდით", ანუ ორგანიზატორთა ნებით მიწვეულ ჩვენებურს, ოქსანა კალაშნიკოვას დაუპირისპირდა.

ორი ქართველის დუელში თინამ ოქსანამ 6:3 6:3 სძლია და ახლა, მეორე წრეში, მე-5 ნომრად განთესილ რუს ეკატერინა ბიჩკოვას შეხვდება.

კიდევ ერთი ქართველი სოფო შაფათავა, რომელმაც ძირითად ბადეში საკვალიფიკაციო ეტაპზე წარმატებული თამაშით გააღწია, 3:6 3:6 დამარცხდა მე-4 ნომრად განთესილ 17 წლის რუმინელ სორენა-მიჰაელა კირსტეასთან, ვისაც WTA-ს მიმდინარე რეიტინგში 117-ე პოზიცია უკავია.



# ერიკ ლინდროსმა წასვლა ისურვა

**კანადური** მედიის ცნობით, ხუთშაბათს ჰოკეიდან წასვლის შესახებ განაცხადებს 90-იანი წლების ნჰლ-ის ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული პიროვნება ერიკ ლინდროსი. ჰოკეისტმა ამისთვის სპეციალური პრესკონფერენცია მოიწვია, სადაც თავის პირად ექიმთან ერთად გამოცხადდება და გულშემატკივრებსა და კოლეგებს დაემშვიდობება.

ლინდროსი მთელი კარიერის განმავლობაში პრესისა თუ გულშემატკივრების ყურადღების ცენტრში იყო. მან სახელი ჯერ კიდევ ნჰლ-ში მისვლამდე მოიპოვა და ამიტომ მის გამოჩენას მსოფლიოს უძლიერეს ჰოკეის ლიგაში მოუთმენლად ელოდნენ, რადგანაც მას ხან „ახალ გრეცკისა" და ხანაც „ახალ ლემიეს" ეძახდნენ. თუმც ერიკმა თავიდანვე სკანდალით მიიპყრო ყურადღება — როცა 1991 წლის დრაფტზე „კვებეკ ნორდიხმა" ის პირველ ნომრად აიყვანა, ლინდროსმა ამ გუნდში თამაშზე უარი განაცხადა. მიზეზი? მოგეხსენებათ, კანადაში არსებულ დაპირისპირებაზე ფრანკო-კანადელებსა და დანარჩენ ქვეყანას შორის. ლინდროსი კი ონტარიოს პროვინციაში (ქალაქი ლონდონი) დაბადებულ-გაზრდილი და „მტრების" რიგებში თამაში არ ისურვა. ამის გამო „ნორდიქსმა" ის „ფილადელფიას" პეტერ ფორსბერგში გაუცვალა, რომელიც „კვებეკს" დენვერშიც გაჰყვა და „კოლორადოს" სტენლის თასი ორჯერ მოაგებინა.

ლინდროსმა კი მიუხედავად იმისა, რომ „ფილადელფიელი მფრინავების" სახედ და გულშემატკივართა კერპად იქცა, მასზე დამყარებული იმედები ვერ გაამართლა. ნჰლ-ში გატარებული 13 სეზონიდან მას მხოლოდ ერთხელ ჰქონდა 100 ქულიანი სეზონი, როცა 1995 წელს 47 შაიბა გაიტანა და 115 ქულა დააგროვა. ლინდროსი სტენლის თასს მხოლოდ ერთხელ, 1997 წელს მიუახლოვდა, როცა ჯონ ლეკლერთან და მიქაელ რენბერგთან ერთად მთელს ნჰლ-ს შიშის ზარს სცემდა — მათ სამეულს „ჯოჯოხეთის ლეგიონიც" შეარქვეს, მაგრამ ფინალში „მფრინავები" „დეტროიტთან" 0:4 განადგურდნენ.

ცალკე სალაპარაკო თემაა ლინდროსის ტრავმები, რომელთა გამოც კანადელს სრულყოფილი სეზონი ერთხელაც არ ჩაუტარებია. ყველაზე ცნობილი კი მის მიერ მიღებული 8 ტვინის შერყევაა — მერვე ასეთი ტრავმის შემდეგ ექიმებმა ლინდროსი გააფრთხილეს კიდეც, ერთი ასეთი შემთხვევაც და შეიძლება, ყინულიდან ცოცხალი ვეღარ გამოხვიდეო, მაგრამ ერიკმა კარიერა მაინც გააგრძელა.

თუმც ლინდროსს ნელ-ნელა ურთიერთობა გაუფუჭდა „ფილადელფიის" გენერალურ მენეჯერ ბობ კლარკთან, რომელმაც ის 2001 წელს „რეინჯერსში" გაცვალა. ამის შემდეგ ლინდროსის კარიერა უკან-უკან წავიდა — მანჰეტენზე მან სამი წელი გაატარა, შემდეგ „ტორონტოში" და „დალასში" თითო სეზონი დაჰყო, თუმც საკუთარი თავის აჩრდილიღა იყო და წლის დიდ ნაწილს ისევ ლაზარეთში ატარებდა.

წლეულს კი ლინდროსთან საქმის დაჭერა ნჰლ-ის ერთმა გუნდმაც აღარ ისურვა, რაც მისი კარიერის დასასრულს უდრიდა. ჩანს, ეს ოფიციალურად ხუთშაბათს გამოცხადდება.

**ბაჩა ლომჯაშვილი**

## NHL რეგულარული ჩემპიონატი

6 ნოემბერი

**რეინჯერსი 2:3 აილენდერსი**
*0:0 1:0 1:3*
1:0 დრური (34), 1:1 ჰანტერი (42), 2:1 მარა (45), 2:2 ფედოტენკო (50), 2:3 შატანი (52)

**ვაშინგტონი 1:2 ატლანტა**
*0:0 0:1 1:0 0:1 (ოვერტაიმში)*
0:1 კოვალჩუკი (27), 1:1 ნიულანდერი (45), 1:2 უაიტი (62)

**ტორონტო 1:5 ოტავა**
*0:2 1:2 0:1*
0:1 ფილიპსი (3), 0:2 ივზი (4), 0:3 ალფრედსონი (22), 0:4 მესაროში (29), 1:4 ანტროპოვი (35), 1:5 კელი (47)

# ჩემპიონთა ლიგა 2007–2008
## ჯგუფური ეტაპი. IV ტური. წუხელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

### E ჯგუფი

**ბარსელონა 2:0 რეინჯერსი**

1:0 ანრი (6), 2:0 მესი (43)
ბარსელონა: ვალდესი, პუიოლი (ოლეგერი 86), მარკესი, მილიტო, აბიდალი, ხავი, ი. ტურე, ინიესტა (გუდიონსენი 71), მესი, რონალდინიო (კრკიჩი 77), ანრი
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
რეინჯერსი: მაკგრეგორი, ჰატონი, ვეირი, პაპაჩი, კუელიარი, ფერგიუსონი, ჰემდანი, ედამი (დარშევილი 62), ბისლი (ნოვო 69), მაკკალოხი, კუზინი (ნეისმიტი 78)
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
მსაჯი: ერიკ ბრაამჰაარი (ჰოლანდია)
80 000 მაყურებელი

**ლიონი 4:2 შტუტგარტი**

1:0 ბენ არფა (6), 2:0 კალსტრიომი (15), 2:1 გომესი (16), 3:1 ბენ არფა (37), 3:2 გომესი (56), 4:2 ჟუნინიო (90)
ლიონი: ვერკუტრე, რეველიერი, ანდერსონი, სკილაჩი, გროსო, კალსტრიომი, ჟუნინიო, ფაბიო სანტუში, ბენზემა (ბელჰაჯი 82), გოვუ (კლერკი 90), ბენ არფა (ა. კეიტა 70)
მწვრთნელი: ალენ პერენი
შტუტგარტი: შეფერი, ბეკი (ოსორიო 77), ტასკი, დელპიერი, მანინი (ფარნერუდი 81), ფ. მეირა, ბაშთურქი, ჰიცლშპერგერი, ხედირა, კაკაუ (მარიკა 59), გომესი
მწვრთნელი: არმინ ფეჰ
გაფრთხილება: ბაშთურქი, რეველიერი, ტასკი, გროსო, გოვუ, კეიტა
მსაჯი: იური ბასკაკოვი (რუსეთი)
38 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 4 | 3 | 1 | 0 | 7:0 | 10 |
| რეინჯერსი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 7 |
| ლიონი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:8 | 6 |
| შტუტგარტი | 4 | 0 | 0 | 4 | 3:10 | 0 |

### F ჯგუფი

**მანჩესტერი 4:0 დინამო**

1:0 პიკე (31), 2:0 ტევესი (37), 3:0 რუნი (76), 4:0 რონალდუ (88)
მანჩესტერი: ვან დერ სარი (კუშჩაკი 46), პიკე (ევანსი 73), სიმპსონი, ვიდიჩი, ევრა, რონალდუ, კარიკი, ფლეტჩერი, ნანი, რუნი, ტევესი (საა 68)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
დინამო: შოვკოვსკი, ფიოდოროვი, დიაკიტე, ვაშჩუკი, ელ კადური, მარკოვიჩი, გიოანე, კორეა, როტანი (რებროვი 46), ო. გუსევი (რინკონი 46), მილევსკი (ბანგურა 80)
მწვრთნელი: ოლეგ ლუჟნი
გაფრთხილება: რუნი, დიაკიტე, კორეა
მსაჯი: იან ვეგერეეფი (ჰოლანდია)
73 000 მაყურებელი

**სპორტინგი 2:2 რომა**

0:1 კასეტი (4), 1:1, 2:1 ლიდსონი (22, 64), 2:2 ანდერსონ პოლგა (89ს.კ.)
სპორტინგი: ტიაგო, აბელი, რონი, ანდერსონ პოლგა, ტონელი, იზმაილოვი (პერეირინია 89), ველოზო, მუტინიუ, რომანიოლი, დიალო (ვუკჩევიჩი 63), ლიდსონი
მწვრთნელი: პაულუ ბენტუ
რომა: დონი, სისინიო, მექსეში (ფერარი 46), ჟუანი, კასეტი, დე როსი, დ. პიზარო, მანსინი, პეროტა (ესპოზიტო 80), ტოტი (ბრიგი 90), ვუჩინიჩი
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
გაფრთხილება: სისინიო, ვუჩინიჩი, კასეტი, აბეი, პეროტა, ველოზო
მსაჯი: ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)
35 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 4 | 4 | 0 | 0 | 10:2 | 12 |
| რომა | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 7 |
| სპორტინგი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:6 | 4 |
| დინამო | 4 | 0 | 0 | 4 | 3:12 | 0 |

### G ჯგუფი

**ინტერი 4:2 ცსკა**

0:1 ჟო (23), 0:2 ვაგნერ ლავი (31), 1:2 იბრაჰიმოვიჩი (32), 2:2, 3:2 კამბიასო (34, 67), 4:2 იბრაჰიმოვიჩი (75)
ინტერი: ჟულიო სეზარი, მაიკონი, კორდობა, სამუელი, კივუ, ძანეტი, კამბიასო, დაკური, მაქსველი (სოლარი 66), კრესპო (კრუზი 63), იბრაჰიმოვიჩი (სუაზო 84)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
ცსკა: აკინფეევი, ვ. ბერეზუცკი (ედუარდო 70), გრიგორიევი, ა. ბერეზუცკი, დანი კარვალიუ, კრასიჩი, რახიმიჩი, დუდუ (ტარანოვი 83), ჟირკოვი, ჟო (ალდონინი 46), ვაგნერ ლავი
მწვრთნელი: ვალერი გაზაევი
გაფრთხილება: რახიმიჩი, დუდუ, ვ. ბერეზუცკი, ჟირკოვი, დაკური
მსაჯი: პოლ ალერტი (ბელგია)
40 000 მაყურებელი

**ფენერბაჰჩე 2:0 პსვ**

1:0 მარსელისი (28ს.კ.), 2:0 სემიჰი (30)
ფენერბაჰჩე: ვოლქანი, გოხანი (ონდერი 88), ედუ დრაჩენა, იასინი, რ. კარლოსი, ვედერსონი, მეჰმეთი, ალექსი (ბილგინი 72), დენიზ ბარიში, კაზიმ-რიჩარდსი (აპია 86), სემიჰი
მწვრთნელი: ზიკო
პსვ: გომეში, კრომკამპი (ზონეველდი 46), სალსიდო, ალსიდესი, მარსელისი, სიმონსი, მენდესი, ვან დერ ლეეგტე (ბაკალი 81), ლაზოვიჩი, პერესი (კუვერმანსი 63), ფარფანი
მწვრთნელი: იან ვოუტერსი
გაფრთხილება: სალსიდო
მსაჯი: ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)
45 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:4 | 9 |
| ფენერბაჰჩე | 4 | 2 | 2 | 0 | 5:2 | 8 |
| პსვ | 4 | 1 | 1 | 2 | 2:5 | 4 |
| ცსკა | 4 | 0 | 1 | 3 | 6:10 | 1 |

### H ჯგუფი

**სლავია 0:0 არსენალი**

სლავია: ვორელი, ტავარეში, ბრაბეცი, ჰუბაჩეკი, დრიჟდალი, შვეცი, შმიცერი (კალივოდა 64), პუდილი (იაბლონსკი 90), სუხი, კრაიჩიკი, სენკერიკი (ივანა 77)
მწვრთნელი: კარელ იაროლიმი
არსენალი: ალმუნია, ლ. დიარა, გალასი, სონგი, კლიჩი, დიაბი, დენილსონი, ჟილბერტო სილვა, უოლკოტი, ედუარდო (ებუე 81), ბენდტნერი (ადებაიორი 77)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: ტავარეში, შვეცი, დიარა, კრაიჩიკი, დენილსონი, პუდილი
მსაჯი: ბერტრან ლაიეკი (საფრანგეთი)
17 000 მაყურებელი

**სტიაუა 0:2 სევილია**

0:1, 0:2 რენატო (25, 65)
სტიაუა: საპატა, ნესუ, გოიანი, რადა, ემეგარა, ო. პეტრე, ნიკოლიტა, ლოვინი, კროიტორუ (ბადია 46), დიკა, იაკობი (სურდუ 62)
მწვრთნელი: მარიუშ ლეკატუში
სევილია: პალოპი, დანი ალვეში, დრაგუტინოვიჩი, მოსკერა, რენატო, ადრიანუ, ხესუს ნავასი (ჰინკელი 89), პოულსენი, დე მული (კაპელი 63), ს. კეიტა, კანუტი (ლუიშ ფაბიანო 69)
მწვრთნელი: მანუელ ხიმენესი
გაფრთხილება: ემეგარა, კანუტი, ადრიანუ, რადა
მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)
20 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 4 | 3 | 1 | 0 | 11:0 | 10 |
| სევილია | 4 | 3 | 0 | 1 | 8:6 | 9 |
| სლავია | 4 | 1 | 1 | 2 | 4:12 | 4 |
| სტიაუა | 4 | 0 | 0 | 4 | 2:7 | 0 |

# სამშაბათი ოთხშაბათი არ არის

**პასუხების** თვალსაზრისით, ჩემპიონთა ლიგის სამშაბათის მატჩები მწირი იყო, გუშინდელი სათამაშო დღე კი უხვი გამოდგა. იმას ვგულისხმობთ, რომ გუშინ, ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე ორი ტურით ადრე, ორმა გუნდმა მერვედფინალში ადგილი გაინაღდა, რაც სამშაბათის მატჩების მერე არ მომხდარა.

ორივე ბედნიერი ინგლისური კლუბია — „მანჩესტერი“ და „არსენალი“. ამასთან, ალექს ფერგიუსონის სამწყსო ლიგაში ერთადერთ ქულადაუკარგავ გუნდადაც დარჩა, ხოლო „მეთოფეებს“, ჯგუფიდან გასავლელად ფრეც ეყოთ.



ზლატან იბრაჰიმოვიჩი დუბლით გამოირჩა

აქვე ვთქვათ: თანაბარქულიანობისას ჩემპიონთა ლიგაში უპირატესობა ურთიერთშეხვედრის შედეგებს ენიჭება. აქედან გამომდინარე, „სლავიას“ „არსენალის“ დაწევა კი შეუძლია, მაგრამ ვერ გადაასწრებს, რაკი ლონდონურ მატჩში 0:7 იგემა.

ამავე წესის გამო „შტუტგარტმაც“ დაკარგა თუნდაც მესამე ადგილზე გასვლის შანსი, რაკი ორივე თამაში წააგო „ლიონთან“.

ჯგუფში ჩარჩენილები, ოღონდ მესამეობის შანსი რომ შერჩათ, სხვებიც გვყავს — „სტიაუა“ და ცსკა. და რა მნიშვნელობა აქვს მესამე ადგილზე გასვლას? მესამეები ლიგიდან უეფას თასზე გადაინაცვლებენ.

გუშინდელი თამაშებიდან ყველაზე უცნაური „სან სიროზე“ გაიმართა. აბა, როგორი საქმეა: რუსთა ჩემპიონი 31-ე წუთისთვის ბრაზილიელების, ჟოსა და ვაგნერ ლავის გოლებით 2:0 იგებდა. უპირატესობა გვარიანია, მაგრამ რუსებს თავი ქუდში ცხადია, არ ჰქონდათ. ოღონდაც, ამ უპირატესობას ზუსტად სამ წუთში თუ გაფლანგავდნენ, თავად ისინი კი არა, ვინძლო, „ინტერის“ ფეხბურთელებიც ვერ წარმოიდგენდნენ. ამის მერე კი ფრთაშესხმულმა იტალიელებმა ორიც შეაგდეს და ვალერი გაზაევს ულვაშში ორიოდ ჭაღარა შემატეს. დავძინოთ: ოთხი ინტერული გოლი ზლატან იბრაჰიმოვიჩმა და ესტებან კამბიასომ ძმურად გაიყვეს.

არანაკლებ ტრაგიკული (ცხადია, დამარცხებულისთვის) გამოდგა ლიონური მატჩიც. აქ შტუტგარტელმა თომას ჰიცლშპერგერმა პენალტი გააფუჭა, მეკარემ აულო, მეოთხე გოლი კი ლიონელმა ჟუნინიომ მეოთხე წამატებულ წუთზე გაიტანა. ჰოდა, ვინმე აუცილებლად იანგარიშებს: გერმანელებს პენალტი რომ გაეტანათ, მსაჯს კი ერთი წუთით ნაკლები წაემატებინა, „შტუტგარტი“ უიმედო აუტსაიდერი აღარ იქნებოდაო.

სხვა მხრივ კი, ვერ ვიტყვით, რომ ოთხშაბათმა ჩემპიონთა ლიგას რაიმე სენსაცია შესთავაზა. ის, რომ „ბარსელონამ“ და „მანჩესტერმა“ იოლად მოუგეს „რეინჯერსსა“ და „დინამოს“, გასაკვირი არაფერი უნდა იყოს, ხოლო „არსენალის“ პრაღულ ფრეზე უკვე ვთქვით — ლონდონელებს ეს შედეგი სავსებით აძლევდათ ხელს.

**კოტე კეკელია**


„რეინჯერსის“ დაცვა პირველმა ტიერი ანრიმ გატეხა

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუკრი ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00